პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი
8 ივლისი
1939 წ.
№ 154 (5554)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთშია:

მომზადებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს (მოწინავე)
საბჭოთა მანქანათმშენებლობა სრულიად - საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენაზე (1-ლი გვ.)
თავდაცვა - ავიაქიმელები სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღეს (1-ლი გვ.)
ჩინეთის ხალხის ნება-სურვილი (1-ლი გვ.)
დავაფასოთ დრო, ნაყოფიერად გამოვიყენოთ თვითეული წუთი (მე-2 გვ.)
შ. ნუცუბიძე — მივცეთ ქვეყანას მაღალხარისხოვანი თამბაქო (მე-2 გვ.)
საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა (მე-3 გვ.)
პარტიული ცხოვრება (მე-3 გვ.)
ა. კოვალევსკი — პოლტავის ბრძოლა, (ფელეტონი მე-3 გვერდი)

უცხოეთში:

შეკითხვები თემთა პალატაში (მე-4 გვ.)
დანციგის ამბები (მე-4 გვ.)
გერმანიის პრესა ინგლისის წინააღმდეგ ილაშქრებს (მე-4 გვერდი)

მომზადებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს

ორდენოსან საქართველოს სკოლებმა დიდი წარმატებით დაამთავრეს 1938-39 სასწავლო წელი. პარტიისა და მთავრობის ყოველდღიური მზრუნველობისა და ყურადღების შედეგად ჩვენი სკოლა თანდათანობით, გაძლიერებული ენერგიით ასწორებს ე. წ. „ძირითად ნაკლს“, რომლის შესახებაც არაერთხელ მიუთითებიათ ხელმძღვანელ ორგანოებს.

ბედნიერი ქვეყნის სტალინური **მზით** გამთბარი თაობა სულ უფრო ღრმად და საფუძვლიანად ეუფლება მეცნიერებათა საფუძვლებს. ჩვენი ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობის ღირსებისა და სახელის საქმედ გადაიქცა საუკეთესო სტალინელის ამხ. **ლ. პ. ბერიას** მითითება, რომ მოწაფეთა გმირობა და სიმამაცე — ეს არის სწავლა ფრიადზე. ამის შედეგად წელს ჩვენს სკოლებში გაიზარდა ისეთ მოწაფეთა რიცხვი, რომლებიც ყველა საგანში „ფრიად“ და „კარგ“ შეფასებას ღებულობენ, საგრძნობად შემცირდა ისეთების რიცხვი, რომლებმაც ცუდი ნიშნები მიიღეს ერთ, ორ ან მეტ საგანში; ახლა გაცილებით უფრო ნაკლები გვყავს ერთსა და იმავე კლასში მეორე წელს დარჩენილი მოწაფეები. ჩვენი სკოლის მუშაობის კიდევ უფრო გაუმჯობესება ნათელჰყო შემოწმებითმა გამოცდებმა, რომლის დროს მოწაფეთა აბსოლუტური უმრავლესობა დასმულ კითხვებზე ამომწურავ პასუხებს იძლეოდა.

სკოლის მუშაობის წარმატება დამოკიდებულია საბჭოთა სკოლის ცენტრალურ ფიგურაზე — მასწავლებელზე, რომელიც ჩვენს ქვეყანაში მზრუნველობითა და ყურადღებით არის გარემოსილი. ამ დებულებას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამასწინათ საბჭოთა კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა სოფლის სკოლების მოწინავე მასწავლებელთა **საუკეთესო** წარმომადგენლები.

ჩვენი ქვეყნის არა ერთმა და ორმა პედაგოგმა გვიჩვენა სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის საუკეთესო ნიმუშები. მაგალითად, ქვიშხეთის სკოლის მასწავლებელმა ამხ. მ. მანჩხაშვილმა განვლილ სასწავლო წელს შესძლო მრავალი მოწაფის გამოსწორება. ბევრი მისი მოწაფე მიღებული ზომების შედეგად ყველა საგანს „ფრიადზე“ და „კარგზე“ სწავლობს. ასევე საუკეთესო შედეგები მიიღეს ა. ქოჩარიანმა (დაგეთხაჩინის სკოლა), ს. თათეოსიანმა (ახალციხე), ეკ. მინდაძემ (ქობულეთი), ქ. ზერიძემ (ქუთაისი), ს. ფელანგიამ (ზუგდიდი), გ. კობახიძემ (ამბროლაური), ბ. ჯალაღანიამ (ჭიათურა) და სხვ. მრავალმა. ამ მასწავლებლებმა საუკეთესო მუშაობის ნიმუშები მოგვცეს იმიტომ, რომ ისინი ეუფლებიან მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, ხელოვნდებიან სასწავლო აღმზრდელობითს საქმიანობაში.

დიდი წარმატებების მიუხედავად, ჩვენს სკოლებში ყველაფერი რიგზე ვერ არის და ეს თავის მხრივ აფერხებს სკოლის მუშაობის უნაკლოდ წარმართვას, სწავლების უფრო მაღალ დონეზე დაყენებას. წარმატებით დამთავრებულმა ატესტაციამ გამოავლინა, რომ საქართველოს არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა საკმაოდ მოზრდილ ნაწილს არა აქვს უფლება ასწავლოს ამ სკოლებში. მათ დღემდის არ შეუსრულებიათ ატესტაციის დროს მათთვის მიცემული დავალება, არ ჩაუბარებიათ სავალდებულო მინიმუმი, არ მოუპოვებიათ განათლების საჭირო ცენზი. ამ საქმეში მათ სათანადო დახმარება ვერ მოუწყო საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატმაც.

მომავალი სასწავლო წლიდან უმაღლესი განათლების მქონე და პედაგოგიურ სასწავლებელდამთავრებული ხუთი ათასზე მეტი ახალგაზრდა მასწავლებელი შეემატება ჩვენს სკოლებს. მაგრამ, როგორც საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განსახკომის თაოსნობით მოწვეულ ახალგაზრდა მასწავლებელთა რესპუბლიკურ შეკრებაზე გამოირკვა, განსახკომი ჯეროვან დახმარებას ვერ უწევს ახალგაზრდა მასწავლებლებს. ასევე შეიძლება ითქვას ბევრ რაიალმასკომსა და განათლების განყოფილებაზე, რომლებიც ნაკლებად ზრუნავენ ახალგაზრდა მასწავლებლისათვის მუშაობისა და დასვენების პირობების შექმნისათვის.

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობაზე საბჭოთა მთავრობის სახელოვანმა მეთაურმა ამხ. **ვ. მოლოტოვმა** გარკვევით აღნიშნა, რომ „ჩვენი საშინაო ამოცანების თვალსაზრისით სიმძიმის ცენტრი ამჟამად გადადის **აღმზრდელობითს** საკითხებზე, კომუნისტური აღზრდის საკითხებზე, მშრომელთა შეგნებაში კაპიტალიზმის ჯერ კიდევ ასე ცოცხალი ნაშთების ლიკვიდაციის ამოცანებზე“. ამხანაგ ვ. მოლოტოვის ეს მითითება უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს სკოლასა და მასწავლებელს. ფართოდ უნდა გაიშალოს სისტემატური, გეგმაშეზომილი მუშაობა წყეული წარსულის ნაშთთა აღმოსაფხვრელად მოსწავლეთა შეგნებიდან, მათ უნდა ჩავუნერგოთ შრომისადმი სიყვარული, საბჭოთა პატრიოტიზმის მაღალი გრძნობა, განვუვითაროთ ლენინ-სტალინის პარტიისადმი, ხალხთა დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინისადმი** უსაზღვრო სიყვარული და ერთგულება. ამას ჩვენ მივაღწევთ იმ შემთხვევაში, თუ სკოლებში ფართოდ გავშლით მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას, რაშიც უდიდესი როლი ეკუთვნის კომკავშირისა და პიონერთა სასკოლო ორგანიზაციებს.

ჩვენი საშუალო სკოლა ყოველწლობით ამაღლებს კურსდამთავრებულთა მომზადების დონეს. ამას მოწმობს უმაღლეს სკოლაში მისაღები გამოცდები. მაგრამ საშუალო სკოლა ჯერ კიდევ არასაკმაო მომზადებას იძლევა ახალგაზრდობის მომავალი პრაქტიკული მუშაობისათვის. ამაზე მიგვითითა ამხანაგმა მოლოტოვმა ბოლშევიკთა XVIII ყრილობაზე. მომავალი სასწავლო წლისათვის უნდა დაისახოს ღონისძიებანი, რომელთა გატარება უზრუნველჰყოფს ამ ამოცანის შესრულებას.

ამისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი სკოლების დროულად მომარაგებას სასწავლო თვალსაჩინო ხელსაწყოებით, კაბინეტებითა და ლაბორატორიებით, ბიბლიოთეკებით. რაც მთავარია, განსახკომი უნდა შეუდგეს საშუალო სკოლის უფროსი კლასების პროგრამებისა და სასწავლო გეგმის გადასინჯვას იმ ანგარიშით, რომ კურსდამთავრებულები სკოლაში ღებულობდნენ ცოდნას, რომელიც მათ მომავალ პრაქტიკულ საქმიანობაში გამოადგებათ.

სასწავლო წლის დამთავრება, შედეგების შეჯამება მტკიცედ უნდა დავუკავშიროთ მომავალი სასწავლო წლისათვის ბოლშევიკურ მზადებას. ამ მხრივ ჯერჯერობით კარგ მაგალითებს იძლევიან წულუკიძის, ცხაკაიას და ბორჯომის რაიონების პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციები, რომლებიც სასწავლო წლისათვის მზადებას ადრიდანვე შეუდგნენ და ძირითადად დაამთავრეს.

რაიონების განათლების განყოფილებებმა, სკოლების ხელმძღვანელებმა მტკიცედ უნდა მოჰკიდონ ხელი მომავალი სასწავლო წლისათვის მზადების გეგმის შესრულებას.

სკოლაში მისაღებთა აღრიცხვა, სკოლების უზრუნველყოფა მასწავლებელთა კადრებით, სასკოლო შენობებისა და ინვენტარის დროული და მაღალხარისხოვანი შეკეთება, ახალი სასკოლო შენობების აგების ვადაზე დამთავრება, მომავალი წლისათვის სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა დასახვა — აი იმ ამოცანათა არასრული ჩამოთვლა, რომელთა გარშემოც უნდა დაირაზმოს პარტიული და საბჭოთა ორგანოების, სახალხო განათლების მუშაკთა ყურადღება.

სახალხო განათლების ყველა განყოფილებას, ყველა სკოლას უნდა ახსოვდეს, რომ მომავალი სასწავლო წლის მუშაობის მაღალი ხარისხის საფუძველი ახალი სასწავლო წლისათვის საუკეთესოდ მომზადებით იქმნება. ამიტომ ჩვენი ვალია სავსებით მომზადებულად შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

სახლი, სადაც ცხოვრობდა ვ. ი. ლენინი

1921 წლის დეკემბერში და 1922 წლის იანვარში ვ. ი. ლენინი ცხოვრობდა მოსკოვის ახლოს მდებარე მუშური უბნის, ახლანდელი კოსტინოს ტერიტორიაზე, პატარა სახლში, რომელიც სდგას კომუნის მოედანზე. მაშინ დაბა ჯერ კიდევ არ ყოფილა, სახლი ტყით იყო გარშემორტყმული. ამჟამად სახლში მთლიანად აღდგენილია იმ წლების მორთულობა, აგრეთვე ვ. ი. ლენინის ცენტრალური მუზეუმის მასალების მიხედვით მოწყობილია ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი მიძღვნილი გამოფენა. 6 ივლისს ეს სახლი გაიხსნა დამთვალიერებლებისათვის.

ვლადიმერ ილიას-ძეს ეკავა უბრალო ავეჯით მორთული სამი პატარა ოთახი და მცირე წინოთახი. სახლი თავისებურად ელექტროფიცირებული იყო. უბრალო ზონრით ჭერზე მიმაგრებული იყო ავტომობილის სანათურები, რომლებსაც სინათლეს აკუმულატორი აწვდიდა. ვლადიმერ ილიას-ძის სამუშაო კაბინეტის პატარა საწერ მაგიდაზე იდგა ტელეფონი, სამაგიდო ლამფა, სამელნე და საწერი ნიუთები. კაბინეტში იყო მოწნული და რბილი დივანები, დიდი საათი, ორი მოწნული სავარძელი, კედელზე ჩამოკიდული იყო ორი სურათი.

ვლადიმერ ილიას-ძე დიდხანს რჩებოდა ტყეში, ხშირად ისვენებდა ასწლიან მუხის ახლოს. კოსტინოდან ვლადიმერ ილიას-ძე პერიოდულად მიემგზავრებოდა მოსკოვს, მაგრამ ყოველთვის იმავე დღეს ბრუნდებოდა. (საკდესი).

„საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ აფხაზურ ენაზე

სოხუმი. (საკ. კორ.) დაიბეჭდა და გასასყიდად გამოვიდა „საკ. კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსი“ აფხაზურ ენაზე. წიგნს აფხაზურ ენაზე სთარგმნიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მიერ შექმნილი სპეციალური კომისია, რომელმაც დიდი პასუხისმგებლობით შეასრულა ეს საქმე. წიგნი გამოცემულია ახალი აფხაზური ალფაბეტით — 5 ათასი ცალის რაოდენობით.

სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სახალხო კომისარი ფლოტის მე-2 რანგის ფლაგმანი ამხ. კუზნეცოვი, შავი ზღვის ფლოტის გემების დათვალიერებაზე. საკდესის ფოტოქრონიკა.

თავდაცვა-ავიაქიმელები სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს

თავდაცვა-ავიაქიმელთა მრავალმილიონიანი არმია აღფრთოვანებით ემზადება სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისათვის.

მოსკოვში ხიმკის წყალსაცავზე და მდინარე მოსკოვზე გორკის სახელობის ცენტრალურ პარკთან 24 ივლისს გაიმართება დაახლოებით 400 სხვადასხვა გემის პარადი. პარადი გაიხსნება დღის სრულ 12 საათზე სალუტით — 21-ჯერ გაისვრიან ზარბაზანს სამხედრო - საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად. ამავე დროს ჰაერში აფრინდება 4 სფერული აეროსტატი. მდინარე მოსკოვის ნაპირზე, ცენტრალურ პარკთან, სავსებით შეიარაღებული 20 წითელფლოტელი გადავა დესანტის სახით; ამ დესანტს უშუალოდ დაიცავს 150 კაცი, რომლებიც კატარღებითა და ნავებით გაემართებიან „მტრის ძალების“ ადგილსამყოფელისაკენ.

თავდაცვა-ავიაქიმის ლენინგრადის საზღვაო კლუბი 24 ივლისისათვის გამოუშვებს მცირე ზომის გემების მეთაურთა ჯგუფს, მოტორისტთა ორ ჯგუფს, რადისტთა ერთ ჯგუფს. ფინეთის ყურეში მოეწყობა სავარჯიშო მანევრები. ლენინგრადის თავდაცვა-ავიაქიმელები წყლის პარადში მონაწილეობის მისაღებად გამოიყვანენ გემების 4 დივიზიონს 67 ერთეულის რაოდენობით. პარადის 600 მონაწილე ჩაატარებს სამხედრო-საზღვაო შეჯიბრებას, სკუტერების მარულას, გვიჩვენებს დესანტის გადმოსხმას.

ოდესაში თავდაცვა-ავიაქიმის სააუზო საბჭო აწყობს ნავებით გასამხედროებულ გადასვლას შემდეგი მარშრუტით: ოდესა — ოჩაკოვი — ნიკოლაევი — ხერსონი — დნეპროპეტროვსკი — კიევი.

24 ივლისს საბჭოთა კავშირის ყველა სამხედრო-საზღვაო სასწავლო პუნქტში, წყლის სადგურებსა და პარკებში გაიმართება ნორმების მასობრივი ჩაბარება ნიშნებზე — „მეზღვაური“ და „ნორჩი მეზღვაური“. (საკდესი).

საბჭოთა ჰაერნაოსნების რვა საერთაშორისო რეკორდი

როგორც ცნობილია, 3-6 აპრილს სამოქალაქო საჰაერო ფლოტის ახალგაზრდა ჰაერნაოსნებმა ამხ. ფ. ბურლუცკიმ და ა. ალიოშინმა მოახდინეს შორეული ხანგრძლივი გაფრენა „სსრ ვრ-55“ სფერული აეროსტატით.

სსრ კავშირის ვ. პ. ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის საავიაციო-სასპორტო კომისიამ 5 ივლისს საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის (ფაი) პრეზიდიუმისაგან მიიღო ცნობა იმის შესახებ, რომ ამხ. ბურლუცკისა და ალიოშინის გაფრენის შედეგები აღიარებულია ფრენის ხანგრძლივობისა და სიშორის რვა საერთაშორისო რეკორდად „ს“ კლასისათვის. საერთაშორისო საავიაციო ფედერაციის პრეზიდიუმმა დაადასტურა, რომ ამხ. ბურლუცკიმ და ალიოშინმა 3-6 აპრილს სფერული აეროსტატით ჰაერში დაჰყვეს 61 საათსა და 30 წუთს და ამ ხნის განმავლობაში პირდაპირი ხაზით გაიფრინეს 1.701 კილომეტრი და 810 მეტრი.

ფრენის ხანგრძლივობის შედეგი, საბჭოთა ჰაერნაოსნების მიერ დამყარებული, დამტკიცებულია როგორც ხუთი საერთაშორისო რეკორდი მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე კატეგორიებისათვის.

გაფრენის სიშორის შედეგი, ამხ. ბურლუცკისა და ალიოშინის მიერ მიღწეული, აღიარებულია სამ საერთაშორისო რეკორდად მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიების აეროსტატებით. (საკდესი).

საკრედიტო დახმარება ახალ ადგილზე დასახლებულთ

წელს სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო ბანკი მნიშვნელოვანად აფართოებს საკრედიტო დახმარებას იმ საკოლმეურნეო მეურნეობათათვის, რომელნიც ცენტრალური რაიონებიდან შორეულ - აღმოსავლეთსა და ციმბირში სახლდებიან.

მთლიანად ანაზღაურებულ იქნება გზისა და კვების, აგრეთვე გზაში სამედიცინო და კულტურული მომსახურების ხარჯი, ახალ ადგილას თავისუფალ სახლს უფასოდ აძლევენ, თვითეულს ახალ დასასახლებელ ოჯახს სახლის შესაკეთებლად ეძლევა გრძელვადიანი კრედიტი 2 ათას მანეთამდე. თუ თავისუფალი ბინები არ არის, სასოფლო-სამეურნეო ბანკი იძლევა კრედიტს დასასახლებელთათვის ახალი სახლების ასაგებად.

პრიმორიეში, ხაბაროვსკის მხარეში, ჩიტის ოლქში და უკიდურეს ჩრდილოეთში სესხის 50 პროცენტს იძლევიან სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე და დასახლებულნი ამ ნაწილს აღარ იხდიან. მიღებული თანხის დანარჩენ ნაწილს ისინი ისტუმრებენ 15 წლის განმავლობაში დაწყებული მეოთხე წლიდან სახლში შესახლების შემდეგ. ირკუტსკის ოლქისა და კრასნოიარსკის მხარის რაიონებში დაუბრუნებელ სესხად იძლევიან 35 პროცენტს, ხოლო კრედიტის დანარჩენი ნაწილი ეძლევათ 10 წლის ვადით, რის დაფარვაც იწყება მესამე წლიდან სახლში შესახლების შემდეგ.

სასოფლო-სამეურნეო ბანკი ახალდასახლებულ უძროხო მეურნეობებს აძლევს გრძელვადიან კრედიტს ძროხების შესაძენად, რაც გასტუმრებულ უნდა იქნას ხუთი წლის განმავლობაში. წითელარმიელთა მეურნეობები ამ თანხის ნახევარს დაუბრუნებელ სესხად იღებენ.

ახალდასახლებულთა ყველა მეურნეობას ეძლევა გრძელვადიანი კრედიტი მეურნეობის მოსაწყობად. ამ კრედიტის ოდენობა თვითეული მეურნეობისათვის 300-1000 მანეთს აღწევს. წითელარმიელთა თვითეული ოჯახი მეურნეობის მოსაწყობად იღებს ერთდროულ დახმარებას 500 მანეთის რაოდენობით. (საკდესი).

საბჭოთა მფრინავების შესანიშნავი გაფრენები სიმაღლეზე

ვორონეჟში უკანასკნელი დღეების განმავლობაში სამოქალაქო საჰაერო ფლოტის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის გამომცდელმა - მფრინავებმა ამხ. კონდრატიევმა, ბოროდინმა და გლებოვმა მოახდინეს მთელი რიგი შესანიშნავი ექსპერიმენტული გაფრენები სიმაღლეზე. ისინი აფრინდნენ სუბსტრატოსფეროში ინჟინერ ს. ს. მოსკალიოვის კონსტრუქციის მსუბუქი სამგზავრო თვითმფრინავით „სამ-5-2-ბის“. ამ თვითმფრინავზე დადგმულია ინჟინერ მ. ა. კოსოვის კონსტრუქციის მცირელიტრაჟიანი 200 ცხენძალიანი მოტორი „მგ-11“.

27 ივნისს 15 საათსა და 45 წუთზე გამომცდელმა - მფრინავმა ამხ. კონდრატიევმა პირველმა დაიწყო სავარჯიშო ფრენა სიმაღლეზე. აფრენიდან 1 საათისა და 45 წუთის შემდეგ ამხ. კონდრატიევმა დაახლოებით 8.550 მეტრ სიმაღლეს მიაღწია.

ამხ. კონდრატიევის გაფრენის შემდეგ ორჯერ აფრინდა სუბსტრატოსფეროში ამხ. გლებოვი თვითმფრინავით „სამ-5-2-ბის“. 29 ივნისს ამავე თვითმფრინავით სიმაღლეზე სავარჯიშო ფრენა ჩაატარა გამომცდელმა - მფრინავმა ამხ. ბოროდინმა. ამ დღეს ის 8.700 მეტრ სიმაღლეს ასცილდა. ფრენა 2 საათსა და 10 წუთს გრძელდებოდა.

2 ივლისს ამხ. ბოროდინმა სიმაღლეზე ფრენის ახალი რეისი ჩაატარა სუბსტრატოსფეროში.

16 საათსა და 32 წუთზე თვითმფრინავი, რომელსაც ამხ. ბოროდინი ჰმართავდა, ჰაერში აფრინდა. სტარტიდან 1 საათსა და 40 წუთის შემდეგ ამხ. ბოროდინმა 8.700 მეტრის სიმაღლეს მიაღწია. თერმომეტრი აქ 28 გრადუს სიცივეს უჩვენებდა. მანქანა მტკიცედ განაგრძობდა მაღლა ასვლას. 19 საათსა და 03 წუთზე თვითმფრინავი აეროდრომზე დაეშვა. სიმაღლეზე ფრენის რეისი ბრწყინვალედ ჩატარდა.

○

მოსკოვში ვ. პ. ჩკალოვის სახელობის სსრ კავშირის ცენტრალურ აეროკლუბში მოიტანეს საკონტროლო ხელსაწყოები და ყველა მასალა ამხ. ბოროდინის სარეკორდო გაფრენის შესახებ. ცენტრალური აეროკლუბის ლაბორატორიაში ჩატარებული წინასწარი გამოანგარიშებით, ამხ. ბოროდინმა 2 ივლისს 8.761 მეტრ სიმაღლეს მიაღწია. ამით მან 776 მეტრით გადაამეტა სიმაღლეზე ფრენის საერთაშორისო რეკორდს, რომელიც შარშან დაამყარა ამხ. ფედოსეევმა. (საკდესი).

საბჭოთა პლანერისტი ქალის ოლღა კლეპიკოვას უმაგალითო გაფრენა

ცნობილმა საბჭოთა პლანერისტმა ქალმა ოლღა კლეპიკოვამ 6 ივლისს მოახდინა უმაგალითო გაფრენა ერთმოტორიანი პლანერით „როტფრონტ-7“. აფრინდა რა ტუშინოს აეროდრომიდან, იგი იმავე დღეს მშვიდობით დაეშვა სტალინგრადის ოლქის ხოპერსის რაიონის მიხაილოვსკაიას სლობოდის მახლობლად. წინასწარი ცნობებით, ამხ. კლეპიკოვამ პირდაპირი ხაზით ძირდაუშვებლად გაიარა 735 კილომეტრი.

ამხ. კლეპიკოვა პირველი ქალია მსოფლიოში, რომელმაც დაამყარა პლანერით სიშორეზე ფრენის აბსოლუტური რეკორდი როგორც მამაკაცისათვის, ისე ქალთათვის. 6 ივლისს მან 80 კილომეტრზე მეტით გადააჭარბა ოფიციალურ საერთაშორისო რეკორდს, რომელიც 1937 წლის მაისში დაამყარა საბჭოთა პლანერიზმის ოსტატმა ამხ. რასტორგუევმა, და თითქმის 390 კილომეტრით გადააჭარბა ქალთა საერთაშორისო რეკორდს, რომელიც 1937 წლის ივლისში დაამყარა გერმანელმა პლანერისტმა ქალმა ჰანა რეიტჩმა.

მარტინ ანდერსენ ნექსე სსრ კავშირში ჩამოდის

ამ ცოტა ხნის წინათ შესრულდა დანიის პირველი პროლეტარული მწერლის მარტინ ანდერსენ ნექსეს დაბადების 70 წლისთავი. საბჭოთა მწერლების კავშირის პრეზიდიუმმა მისალმებით მიმართა მას და მოიპატიჟა იგი ჩვენს ქვეყანაში.

7 ივლისს საბჭოთა მწერლების კავშირმა მარტინ ანდერსენ ნექსესაგან მიიღო დეპეშა, სადაც იგი დიდ მადლობას გამოსთქვამს მისალმებისა და მიპატიჟებისათვის და იუწყება, რომ 10 ივლისს დილით ლენინგრადს ჩამოვა. (საკდესი).

საბჭოთა მანქანათმშენებლობა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე

საუბარი სსრ კავშირის საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარ ამხ. ი. ა. ლიხაჩევთან

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენა ნათლად დაგვანახვებს, რომ სოციალისტური მიწათმოქმედება აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით. თავისი პროდუქციის ნიმუშებს გვიჩვენებს საშუალო მანქანათმშენებლობის სახალხო კომისარიატის 30 ქარხანა.

მექანიზაციის პავილიონში გამოფენილი იქნება 280 სასოფლო-სამეურნეო მანქანა, იარაღი და სატრანსპორტო საშუალება.

პავილიონის მეორე იარუსზე ეწყობა ორი კონვეიერი, რომელიც გამოფენის მუშაობის საათებში განუწყვეტლივ იმოძრავებს. კონვეიერებზე დაიდგმება ყოველგვარი სასოფლო-სამეურნეო მანქანა. პავილიონის დამთვალიერებელნი ნახავენ მძლავრ სატრაქტორო ინვენტარს, რომლითაც საბჭოთა ქარხნებმა შეაიარაღეს საკოლმეურნეო სოფელი. თავისი პროდუქციის ნიმუშებს გამოაფენენ ჩელიაბინსკის, ხარკოვისა და სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნები. ლენინგრადის კიროვის სახელობის ქარხნის ექსპონატთა შორის არის უნივერსალური ტრაქტორები.

საინტერესოა ახლად გამოშვებული მანქანები, რომელთაც გვიჩვენებს ლიუბერცის სასოფლო-სამეურნეო მანქანათა ქარხანა. ხარკოვის ქარხანა „სერპ ი მოლოტი“ გამოაფენს ორ ახალ ჭარხლის ასაღებ მანქანას, სამყურის სალეწ მანქანას, ორიგინალურ მარცვალსახმობსა და მარცვალსაწმენდ მანქანას.

მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა აჩვენებს კომფორტულ მანქანას — „ზის-102“. გორკის მოლოტოვის სახელობის ავტოქარხნის ექსპონატთა შორის არის: ერთნახევარტონიანი მანქანა, სამღერძიანი ავტომობილი, თვითდამცლელი სატვირთო ავტომობილი, გაზგენერატორული დანადგარიანი მანქანა, ყველგანმავალი, ლიმუზინი, პიკაპი, ახალი მსუბუქი ღია ეტლი და სხვ. საავტომობილო მრეწველობის ნიმუშთა შორის თვალსაჩინო ადგილს დაიკავებს აგრეთვე იაროსლავლის ავტოქარხნის მრავალტონიანი ტვირთსაზიდები.

უფრო მეტი თვალსაჩინოებისათვის რთული მანქანები გამოფენილი იქნება ჭრილად.

გამოფენაზე უკვე ჩამოტანილია 150-ზე მეტი მანქანა. მიმდინარეობს მათი მონტაჟი.

მალე დამთავრდება გამოფენის ერთერთი უშესანიშნავესი შენობის — მექანიზაციის პავილიონისა და მისი ტერიტორიის მშენებლობა და გაფორმება. (საკდესი).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საპატიო წიგნი

მოსკოვში 7 სტამბაში იბეჭდება სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის საპატიო წიგნი. წიგნი გამოიცემა 47 ტომად, რომლის საერთო მოცულობა 1500 ანაბეჭდ ფურცელს უდრის.

საპატიო წიგნში ჩაიწერება გამოფენის მონაწილე 200 ათასამდე საბჭოთა მეურნეობა, მტს-ი, კოლმეურნეობა, საკოლმეურნეო მეცხოველეობის სასაქონლო ფერმა, სოფლის მეურნეობის მოწინავე მუშაკი, ორგანიზატორი, სპეციალისტი და მათი მიღწევების მოკლე დახასიათება. გამოფენის თვითეულ მნახველს შეუძლია გადაფურცლოს წიგნი, დაწვრილებით გაეცნოს სოციალისტური მიწათმოქმედების საუკეთესო მეურნეობათა და მოწინავეთა გამოცდილებას. (საკდესი).

ჩინეთის ხალხის ნება-სურვილი

იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ გამართულ განმათავისუფლებელ ომში აქტიურ მონაწილეობას იღებენ ჩინეთის ხალხის მილიონობით მასები. ხალხის მონაწილეობა ნაციონალურ - განმათავისუფლებელ ომში ყველაზე უფრო მკაფიოდ იჩენს თავს იმ მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმების ბრძოლით, რომლებიც მოქმედებენ ყველგან იაპონიის არმიების ზურგში. პარტიზანული რაზმები ომის მესამე წლის მიჯნაზე თავის რიგებში 1 მილიონზე მეტ შეიარაღებულ მებრძოლს ითვლიან.

იაპონელ დამპყრობთადმი სიძულვილი უმაგალითო ნაციონალურ აღტყინებას იწვევს. პარტიზანები ერთი დღის მოსვენებასაც არ აძლევენ იაპონიის გარნიზონებს, რომლებიც „დაპყრობილ“ ტერიტორიაზე არიან განლაგებული. ჩინელი გლეხები, მიუხედავად იმისა, რომ მათ სიკვდილით ემუქრებიან, უარს ამბობენ მტრისათვის პროდუქტების მიყიდვაზე, არ იღებენ იაპონიის ფულს და სხვ. ოფიციალური ცნობებით, მიმდინარე წლის პირველ ოთხი თვის განმავლობაში იაპონელებმა ჩრდილო-ჩინეთიდან გაიტანეს 36 პროცენტით ნაკლები ბამბა, ვიდრე გასულ წელს. მტერს რომ ბამბა არ მიაწოდონ, გლეხები ბამბის მდიდარ მინდვრებში ბოლოკს, კარტოფილსა და ცერცვს სთესენ. სთესენ ყველაფერს, გარდა ბამბისა. იაპონელებმა ხელთ იგდეს ჩინელთა აბრეშუმის ყველა ფაბრიკა მდინარე იანძის შესართავის რაიონში. მაგრამ ეს ფაბრიკები უმოქმედოდ სდგას. გლეხები იაპონელებს არ აძლევენ პარკს. სოფლებში საყოველთაო მოვლენად გადაიქცა ის, რომ ჩინეთის ხალხი სასტიკად უსწორდება იაპონიის აგენტებს, რომლებიც პარკს ყიდულობენ. იაპონელებმა სინჯეს თავისი აგენტების გაგზავნა ჯარისკაცთა რაზმის თანხლებით, მაგრამ ამ შემთხვევაშიც აგენტები სოფლებში მხოლოდ გაფუჭებულ პარკს ჰპოულობდნენ. ჩინეთის ჩრდილო ნაწილში ქვანახშირის უდიდესმა მაღაროებმა განაახლა მუშაობა, მაგრამ იაპონელები ვერ ახერხებენ ამოღებული ქვანახშირის გატანას. ჩინელი მაღაროელები, რომლებიც დღისით მაღაროებში მუშაობენ, ღამით ჰგზავნიან საგანგებო რაზმებს, რომლებიც ანგრევენ რკინიგზის შტოებსა და ქვანახშირით დატვირთულ მატარებლებს ლიანდაგიდან აგდებენ.

„დაპყრობილ“ ტერიტორიაზე იაპონელები ხიშტების მეშვეობით ბატონობენ. იაპონიის სამხედრო ხროვამ ხელთ იგდო უდიდესი ქალაქები და სატრანსპორტო ხაზები, მაგრამ მან ვერ დაიმორჩილა ხალხის მრავალმილიონიანი მასები, რომლებსაც საშინლად სძულთ დამმონებელი სამურაები.

ჩინეთის ფრონტებზე უკანასკნელი მგზავრობის დროს მე შევძელი გამენცო პარტიზანების გაერთიანებათა რამდენიმე ხელმძღვანელი. მათი უბრალო ნაამბობი ასახავს მთელი ხალხის ბრძოლას საზიზღარი დამპყრობლების წინააღმდეგ.

ახალგაზრდა ლი ჯუნ-მინი — პარტიზანების ხელმძღვანელი გვიამბობს თავის საბრძოლო თავგადასავალს. „პინსინგუანთან მე-8 სახალხო რევოლუციური არმიის გამარჯვების ორი დღის შემდეგ ჩვენ თავს დავესხით ძინძონის მახლობლად იასუგავას არმიის იაპონელთა ნაწილს. შეხვედრ ბრძოლაში ჩვენ გავფანტეთ იაპონელები და ხელთ ვიგდეთ მათი ბარგით დატვირთული 200 ცხენი. ჩვენ იძულებული ვიყავით აგვეფეთქებინა ის ქვემეხები, რომლებიც ხელთ ვიგდეთ, მაგრამ იაპონელთა გალეტებითა და კონსერვებით თითქმის ნახევარი წელიწადი ვიკვებებოდით. იაპონელთა დამარცხებული რაზმები ცდილობდნენ დამალვას, მაგრამ გლეხები იჭერდნენ გაფანტულ სამურაებს. პირველ დღესვე მათ მოგვიყვანეს 36 იაპონელი ტყვე“.

ოფიცერი ლიან ძი-ჩანი ხელმძღვანელობდა პარტიზანებს ხანკოუს ჩრდილოეთით და შანსის პროვინციის სამხრეთ ნაწილში. მისმა პარტიზანებმა ღამით თავდასხმის დროს დუშიკოუს მახლობლად გაანადგურეს იაპონელი გენერლის ტორადას შტაბი. ბრძოლაში მოჰკლეს დაახლოებით 200 იაპონელი ჯარისკაცი. მთელი შეიარაღება და 300 ცხენისაგან შემდგარი საბარგულები ხელში ჩაუვარდათ პარტიზანებს.

საშუალო ხნის გლეხი, ამჟამად მეთაური ვან ჩინ-კე ერთ წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში ხელმძღვანელობდა პარტიზანებს, რომლებიც მოქმედებდნენ დასკოუციონუას რკინიგზის გასწვრივ. „განსაკუთრებით მძიმე იყო ჩვენთვის, — ამბობს ვან ჩინ-კე, — გასული წლის აგვისტო. ორი კვირის განმავლობაში ჩვენ განუწყვეტლივ გვიხდებოდა ბრძოლა იაპონელთა მე-14 დივიზიის ნაწილებთან, რომლებიც გადმოჰყავდათ ხუნანის პროვინციიდან შანსის სამხრეთ-ნაწილში. სხვა რაზმებთან ერთად ჩვენ არ გავუშვით იაპონელები, რათა შეერთებოდნენ თავიანთ ჯარს. მთის გზაზე გავანადგურეთ დაახლოებით 2 ათასი იაპონელი ჯარისკაცი“.

სახალხო გმირის მოხუცი ფან შაო-ჯოუს სახელი მთელს ჩინეთშია გავარდნილი. მას „ჩინეთის ხალხის სინიდისს“ და „შეურიგებელს“ ეძახიან. სოფლებში ლაპარაკობენ, მას იაპონელთა ტყვია არ ეკარებაო. როცა იაპონელები შევიდნენ მის სამშობლო მაზრაში, დიუიანში, 74 წლის ფან შაო-ჯოუმ მთელი თავისი ქონება დაურიგა გლეხებს და რაზმში თავი მოუყარა თანასოფლელებს. ბრძოლებში ხუილიანხუს მახლობლად გასული წლის მარტში მის რაზმში ითვლებოდა 1.000-ზე მეტი კაცი და დაახლოებით 700 შაშხანა. შაშხანების ნახევარზე მეტი იაპონელებს წაართვა მისმა რაზმმა. ოთხი თვის შემდეგ იაპონელთა მრავალრიცხოვან ნაწილებთან უთანასწორო ბრძოლაში მისი რაზმი დამარცხდა. ფან შაო-ჯოუს მთელი დიდი ოჯახი, რომელიც 18 კაცისაგან შესდგებოდა, დახვრეტილ იქნა გამხეცებული იაპონელების მიერ. მოხუცი მარტო დარჩა. უხანის აღების წინ ის ჩამოვიდა ხანკოუში და იარაღს თხოულობდა. იგი გადმოვიდა იაპონელთა ფრონტის ხაზზე, დაბრუნდა სამშობლო მაზრაში და დინიუანის მთებში ისევ ხელმძღვანელობს პარტიზანებს. მოხუცი ფან შაო-ჯოუს ნებისყოფა მთელი ჩინეთის ხალხის ნებისყოფაა. ეს არის უძლეველი ნებისყოფა გამარჯვებისათვის.

ვ. როგოვი

ჩუნცინი, 6 ივლისი (საკდესი).

დავაფასოთ დრო, ნაყოფიერად გამოვიყენოთ თვითეული წუთი

ჩემი სამუშაო დღე

გამოხმაურება 1939 წ. 28 ივნისის „პრავდაში" გამოქვეყნებულ ინჟ. ვ. კომაროვის წერილზე

თბილისის ფეხსაცმლის პირველ ფაბრიკაში მუშაობა დილის 7 საათზე იწყება. ამ დროისათვის უკვე საამქროებში ვარ და, როგორც უფროსი მექანიკოსი, ვამოწმებ მანქანებისა და დანადგარების ტექნიკურ მდგომარეობას, ვაკვირდები მანქანებს, როგორ მუშაობენ, ხომ არაა მოსალოდნელი მათი მუშაობის შეფერხება. თუ კი რომელიმე მანქანას რაიმე დეფექტი შევნიშნე, აღვნიშნავ ამას ბლოკნოტში და იქვე ვაძლევ დავალებას მანქანის მომსახურე მონტიორს, რათა გაასწოროს მანქანა, შეასრულოს ესა თუ ის საქმე. 2-3 საათი სჭირდება საამქროების ჩამოვლას და მანქანა-დანადგარების ტექნიკური მდგომარეობის შემოწმებას.

შემდეგ მივდივარ კანტორაში. ათასგვარ საქმეებზე მოდიან იქ ჩემთან (გარდა იმისა, რომ ფაბრიკის უფროსი მექანიკოსი ვარ, მაქვს საზოგადოებრივი დატვირთვაც). ყველას უნდა ვუპასუხო, ყველას უნდა მოვუსმინო, ამასობაში კი საჭიროა საამქროების ხელახლა ჩამოვლა, მანქანა - მოწყობილობათა ხელახლა შემოწმება.

დაამთავრა მუშაობა პირველმა ცვლამ, იგი მეორე ცვლამ შესცვალა, მაგრამ საამქროებში მუშაობა არ შეწყვეტილა. ვთავისუფლდები მხოლოდ ღამის 8-9 და ზოგჯერ 11-12 საათზე და მივდივარ სახლში. ასე მიდიან დღეები, ასე ვმუშაობ ჩვენს ფაბრიკაში.

ინჟ. ვ. კომაროვის წერილმა, რომელიც „პრავდაში" იყო მოთავსებული, ჩამაფიქრა ამ საკითხზე. მართლაც, შეიძლება თუ არა ისე მოვაწყოთ ჩვენი მუშაობა, რომ წარმოებამაც არ იზარალოს და კულტურული დასვენების დროც დაგვრჩეს. უდავოდ შეიძლება. სამისოდ საჭიროა განსაკუთრებული სიფრთხილით და ყურადღებით შევარჩიოთ წარმოების რგოლების ხელმძღვანელი კადრები. ჩვენთან მონტიორად მუშაობს ამხ. არ. არუთინოვი, როცა იგი მორიგეობს, მე გულდამშვიდებით ვარ. ვიცი, რომ იგი ფხიზლად არის თავის საქმეზე, ყოველთვის მიდარაჯებულია მანქანა-მოწყობილობებზე და არასოდეს არ დააბრკოლებს მათ მუშაობას.

დაკისრებული სამუშაოსათვის პასუხისმგებლობის გრძნობის გაძლიერება დიდად შეუწყობს ხელს დროის ეკონომიას. ჩვენს სპეციალისტებს დიდძალი დრო ეხარჯებათ იმაში, რომ ვისაც ჯერ ბრს, იმას ვერ ანდობენ სავსებით ამა თუ იმ საქმის შესრულებას. ჩვენთანაც არის შემთხვევები, რომ მანქანის სასწრაფო რემონტი თავის დროზე ისე არ გაკეთდება, თუ იქ არ არის ფაბრიკის რომელიმე ხელმძღვანელი მუშაკთაგანი. ამ მხრივ დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია პროფკავშირულ ორგანიზაციას. მან ფართოდ უნდა გაშალოს აღმზრდელობითი მუშაობა მუშებს შორის საწარმოო პასუხისმგებლობის გრძნობის გასაძლიერებლად. ეს იქნება ერთერთი ღონისძიება დროის ფლანგვის აღმოსაფხვრელად.

ინჟ. ვ. კომაროვი დროულად აყენებს იმ საკითხს, რომ ყოველდღიური მუშაობისას შევეჩვიოთ ნამდვილ ბოლშევიკურ საქმიანობას. პარტია და ხელისუფლება, დიადი სტალინური კონსტიტუცია ჩვენ გვაძლევს ყველა შესაძლებლობას იმისათვის, რომ დავამკვიდროთ ჩვენს პრაქტიკაში სტახანოვური მეთოდებით შრომის ამერიკული წესი.

ვას. გაბუნია

ფეხსაცმლის 1 ფაბრიკის უფროსი მექანიკოსი.

დავამყაროთ წესრიგი თათბირების ჩატარებაში

საფაბრიკო კომიტეტის კრებაა— უნდა დაესწრო, რადგან მისი წევრი ხარ.

დირექტორთან თათბირია — უსათუოდ უნდა დაესწროთ.

კომისარიატში თათბირია — გამოძახებული ხარ, უნდა წაბვიდეთ.

სამართლიანად შენიშნა ამხ. ბერიშვილმა „კომუნისტში" (იხ. „კომუნისტის" 5 ივნისის ნომერი) — თათბირების მოწვევა საჭიროა და ამის აკრძალვა აბსურდი იქნებოდა, მაგრამ საქმე ის არის, რომ ამ თათბირებს უნდა იწვევდნენ წინასწარ მომზადებულად, საკითხები წინასწარვე უნდა იყოს დამუშავებული და მაშინ თათბირი აღარ გაჭიანურდება.

საკუთარი პრაქტიკით ვიცი: იმის გამო, რომ ამ თათბირებსა და კრებებს უმეტეს შემთხვევაში წინასწარ მოუმზადებლად იწვევენ, მათს მონაწილეებს მთელი საღამოები ეკარგებათ. ხდება ისეც, რომ რომელიმე ორგანიზაციაში გამოგიძახებენ—განსაზღვრულ საათზე თათბირიაო. თათბირის დაწყება კი გვიანდება (კრებაზე, ან თათბირზე დროით მიუსვლელობაც ხომ დროს გაფლანგვაა, არა მარტო საკუთარი დროისა, სხვისი დროის გაფლანგვაც). დაიწყებენ თათბირს, მაგრამ გამოირკვევა, რომ აქ სხვებიც ყოფილან გამოძახებული. უცდი შენ ჯერს, თუ როდის მოაღწევს იმ საკითხის განხილვის რიგი, რომლისთვისაც გამოგიძახეს. საათი მუშაობს და ითვლის წუთებს... დაკარგულ წუთებს.

კრებებისა და თათბირების წინასწარ მოუმზადებლად მოწვევა, ჩემის აზრით, დროის გაფლანგვის ხელშეწყობას უდრის.

თათბირზე კაცის გამოძახება და მისი იძულება, რომ რამდენიმე საათს ელოდოს მისთვის საინტერესო საკითხის განხილვის ჯერს—ამ კაცის დასჯას უდრის.

პარტიულმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა ფართოდ უნდა გაშალონ მუშაობა ასეთ მოვლენათა აღმოსაფხვრელად.

ნიკ. გორგიჯანოვი

მე-6 სამკერვალო ფაბრიკის ტექნიკური ხელმძღვანელი.

უდარდელობა მოსავლის აღებისათვის მზადებაში

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ონის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციები შეუწყნარებელ უდარდელობას იჩენენ მოსავლის აღებისათვის მზადებაში.

წელს რაიონის კოლმეურნეობებში თავთავიანი კულტურები (პური, ქერი) აღებულ უნდა იქნას 3.219 ჰექტარზე. მოსავლის აღება 15-20 ივლისიდან დაიწყება, მაგრამ რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობა ჯერ კიდევ არ არის მზად. მოსავლის ასაღები იარაღ-მანქანების რემონტი ნელი ტემპით მიმდინარეობს. რაიმიწგანს არ შეუმოწმებია მოსავლის ხელით ასაღები ინვენტარის (ნამგლების, ცელების და სხვ.) მზადყოფნა.

არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს მოსავლის ასაღები ინვენტარისა და ბეღლების დეზინფექცია. რაიონის 64 კოლმეურნეობიდან 15-ში არ ჩატარებულა დეზინფექცია.

მოსავლის აღებისათვის მეტად სუსტად ემზადებიან ჩორდის, ხევის, ხიდეშლებისა და ბაჯიხევის კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობათა გამგეობები არ ზრუნავენ ბეღლების დეზინფექციის დროულად ჩატარებისა და იარაღ - მანქანების რემონტის ვადაზე და მაღალი ხარისხით დამთავრებისათვის.

გარდა ამისა, რაიონს აკლია 30 ტრიერი და 2 სალეწი მანქანა, მაგრამ ამ მანქანების რაიონისათვის მიწოდებაზე არ ზრუნავენ „საქსოფლმომარაგებისა" და საქმიწსახკომის მარცვლეულ კულტურათა სამმართველოს ხელმძღვანელნი.

გ. ჩომახიძე

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა გადაჭარბებით შეასრულა ნახევარი წლის გეგმა

კარგად იმუშავა მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა. მის სისტემაში შემავალმა საწარმოებმა 6 თვეში გამოუშვეს 68.354.400 მანეთის ფართო მოხმარების საგნები, რაც დავალების 101,3 პროცენტს შეადგენს.

გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით წელს გამოშვებულია 16,8 პროცენტით მეტი პროდუქცია.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ტყავ-ფეხსაცმლის, აბრეშუმის და სამკერვალო მრეწველობის წარმატებები, რომლებმაც ნახევარი წლის გეგმა საგრძნობი გადაჭარბებით შეასრულეს. ჩამორჩა მხოლოდ საფეიქრო მრეწველობა, რომელმაც 6 თვის გეგმა 98,4 პროცენტით შეასრულა.

საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა, მართალია, 6 თვის რაოდენობრივი მაჩვენებლების გეგმა გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ კომისარიატის ცალკე სამმართველოებს ჯერ კიდევ სერიოზული მუშაობის ჩატარება მოუხდებათ გამოშვებული პროდუქციის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებისათვის.

თათბირი სპეკულაციასთან ბრძოლის საკითხებზე

7 ივლისს, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში, რესპუბლიკის პროკურორის ამხ. ვ. ტალახაძის თავმჯდომარეობით გაიხსნა თათბირი სპეკულაციასთან ბრძოლის შესახებ. თათბირს ესწრებოდნენ თბილისის უბნების სახალხო მოსამართლეები, პროკურორები, მილიციის ორგანოების წარმომადგენლები, რესპუბლიკის პროკურატურისა და უმაღლესი სასამართლოს მუშაკები.

სპეკულაციასთან ბრძოლის საკითხებზე მოხსენებით გამოვიდა რესპუბლიკის პროკურორი ამხ. ვ. ტალახაძე. კამათში მონაწილეობა მიიღო 9 კაცმა.

სპეკულაციასთან ბრძოლის საკითხებზე მოწვეული თათბირის გაგრძელება შესდგება იმავე დარბაზში 13 ივლისს, საღამოს 7 საათზე.

სოციალისტური მიწათმოქმედების გამარჯვებათა დათვალიერება

როგორ მივაღწიეთ ციტრუსების განუწყვეტელ მსხმოიარობას

ახმედ ომეროღლი

ბათუმის რაიონის გონიოს ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი.

გონიოს ლ. ბერიას სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობამ 1937—1938 წლებში ნაცვლად მთავარ საგამოფენო კომიტეტის მიერ დაწესებული 350 ცალისა თვითეულ ძირ სრულ მოსავლიანი ლიმონის, მანდარინის და ფორთოხლის ხიდან 481 ცალი ნაყოფი მიიღო. ორი უკანასკნელი წლის მანძილზე კერძოდ ლიმონის თვითეულ ხეზე საშუალოდ 1.106 ცალი ნაყოფი მივიღეთ.

ამ წარმატებისათვის ჩვენი მეურნეობა წარდგენილია სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე ფართო ჩვენებისათვის. გამოფენის კანდიდატებად წარდგენილია აგრეთვე მეურნეობის 2 აგრონომი, 4 აგროტექნიკოსი და 8 სტახანოველი მუშა, რომლებმაც ციტრუსების სარეკორდო მოსავალს მიაღწიეს.

მეორე რაიონის მე-10 საწარმოო უბნის სტახანოველმა ტ. სელეზნოვამ ლიმონის თვითეულ ხეზე შარშან საშუალოდ 909 ცალი ნაყოფი მიიღო, მარიამ ტევრიევამ, რომელიც 918 ძირ ციტრუსს უვლის, თვითეულ ხეზე მიიღო 611 ცალი ნაყოფი, აგროტექნიკოსმა ვლ. თათარაშვილმა თავის აგროუბანში, სადაც 4.855 ძირი ციტრუსია დარგული, 1938 წელს თვითეულ ხეზე მიიღო საშუალოდ 1.394 ცალი ნაყოფი, ერთი-სამად და კიდევ უფრო მეტი, ვიდრე გამოფენაში მონაწილეობის პირობები ითვალისწინებს. პირველი რაიონის მე-5 საწარმოო უბნის სტახანოველმა ირინა დერენმა, შარშან ლიმონის თვითეულ ხეზე 862 ცალი ნაყოფი მიიღო. ასეთივე მაღალი მაჩვენებლების მიღწევისათვის გამოფენაზე წარდგენილი არიან აგრეთვე სტახანოველი მუშები ელისე მალოვანი, კ. ტიმოფეენკო, ქსენია კატუჩენკო, ვ. რუხაძე, აგროტექნიკოსები პ. ზედია, ა. გიგინეიშვილი, ა. სიმონიშვილი, უფროსი აგრონომი ა. ჩიტაიშვილი და აგრ. ტ. ტოროტაძე.

საბჭოთა მეურნეობა დაყოფილია 50 აგროუბნად. თვითეულ აგროუბანზე მთელი წლით მიმაგრებული გვყავს მუშა მებაღეები, რომლებიც თავიანთ ნაკვეთებზე ყველა საჭის სამუშაოს ასრულებენ. მუშათა შრომის ანაზღაურება კი ხდება იმის მიხედვით, თუ ვინ როგორ გაადიდებს მოსავლიანობას და მაღალხარისხოვნად შეასრულებს მიმდინარე სამუშაოებს.

დიდიხნის დაკვირვებამ და გამოცდილებამ ღრმად დაგვარწმუნა, რომ ციტრუსების განუწყვეტელი მსხმოიარობა და მეწლეობის მოსპობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ წესიერად მოუვლი ცალკეულ ნაკვეთსა და თვითეულ ხეს.

შარშან ციტრუსების მთელი პლანტაცია ადრე გაზაფხულზე გადავბარეთ და ცალკეულ მცენარეთა თავისებურების გათვალისწინებით თვითეულ ხეზე ნიადაგში შევიტანეთ საშუალოდ 16 კილოგრამი გადამწვარი ნაკელი, აგრეთვე პუდრეტი, ფოსფორი, კალიუმი და აზოტი. წამლობა ჩავატარეთ შვიდჯერ, 9.256 ძირ მცენარეს გავუფართოვეთ ორმოები, 35.081 ძირი ციტრუსის ირგვლივ დავთესეთ ხანჭკოლა მწვანე სასუქისათვის.

ყვავილობის დროს შარშან გვალვა დაიწყო, მოსალოდნელი იყო ნაყოფის ჩამოცვენა. ამიტომ 5.862 ძირი მცენარე, რომელიც შედარებით მშრალ ადგილზეა გაშენებული, რამდენჯერმე მოვრწყეთ და თავიდან ავიცილეთ ნაყოფის მოსალოდნელი ჩამოცვენა. პლანტაციებში მოვაწყეთ წყალსაცავი ორმოები. ნიადაგზე სინესტის შენარჩუნების მიზნით შემოვიღეთ აგრეთვე მსხმოიარე მცენარეთა ძირების დაჩრდილვა.

ჩვენს მეურნეობაში მანდარინთან და ფორთოხალთან ერთად ყოველწლიურად იზრდება განსაკუთრებით ლიმონის მოსავალი. 1936 წელს ლიმონის თვითეულ ხეზე 300 ცალი ნაყოფი მივიღეთ, 1937 წელს—555 ცალი, 1938 წელს კი—1657. ამას იმით ვაღწევთ, რომ აგროწესების სწორად გატარებასთან ერთად ფართოდ ვიყენებთ სტახანოველთა მდიდარ გამოცდილებას.

მეურნეობის ის მუშები, რომლებიც მიმდინარე წელს გამოფენაზე ვერ მიდიან, ენერგიულად მუშაობენ და ერთმანეთს ეჯიბრებიან, რათა ეს უფლება მათ მომავალი წლისათვის მოიპოვონ.

გონიოს ლ. ბერიას სახელობის საბჭოთა მეურნეობა, რომელიც ჩაბმულია სოცშეჯიბრებაში ურეკის საბჭოთა მეურნეობასთან, იბრძვის იმისათვის, რომ მიმდინარე წელს თვითეულ ძირ ციტრუსის მსხმოიარე ხეზე მიიღოს საშუალოდ არანაკლებ 800 ცალი ნაყოფისა.



ბრინჯის მინდვრები სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაზე. უკან—პავილიონ „სოფლის მეურნეობის მექანიზაციის" ლითონის კარკასი. ფოტო ყარაევისა.

მივცეთ ქვეყანას მაღალხარისხოვანი თამბაქო

შ. ნუცუბიძე

საქ. კ. პ. (ბ) ლაგოდეხის რაიკომის მდივანი

ნოყიერი ნიადაგი და ზომიერი ჰავა ყველა პირობას ჰქმნის ლაგოდეხის რაიონში თამბაქოს კულტურის განვითარებისათვის. ამასთანავე ლაგოდეხის საკოლმეურნეო მინდვრებზე საუკეთესო ხარისხის თამბაქო მოდის. ამიტომ არის, რომ თამბაქოს კულტურა ჩვენს რაიონში კოლმეურნეობათა სიმდიდრის ერთერთ ძირითად წყაროდ იქცა. მისი ფართობი უკანასკნელ წლებში 3310 ჰექტარს უდრის. გასულ წელს ამ ფართობიდან სახელმწიფოს ნაცვლად 3211 ტონისა ჩავაბარეთ 3565,5 ტონა მოსავალი. აქედან პირველი ხარისხის თამბაქო 33,2 ტონა, ნაცვლად 18,8 ტონისა, მეორე ხარისხისა—134 ტონა, ნაცვლად 119,6-სა, ხოლო მესამე ხარისხისა—923,2 ტონა, ნაცვლად 696,8 ტონისა.

გასულ წელს თამბაქოს რაოდენობრივმა და ხარისხობრივმა მაჩვენებლებმა რაიონის ბევრ კოლმეურნეობას, ბრიგადას და კოლმეურნეს გაუთქვეს სახელი. მათი უმრავლესობა მონაწილეობას მიიღებს სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში.

სოფელ შრომის კოლმეურნეობა „შრომაში" (თავმჯდომარე ამხ. ა. გელაშვილი) გასულ წელს ჰექტარზე საშუალოდ აიღეს 14,53 ცენტნერი თამბაქო, სოფ. თამარიანის კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში (თავმჯდომარე ამხ. კ. ლელიუკი)—17 ცენტნერი.

განსაკუთრებით უხვი მოსავალი მოგვცა სოფ. ჩადუნიანის კოლმეურნეობა „წითელმა დროშამ". კოლმეურნეთა ენერგიულმა და მუყაითმა შრომამ უხვი და მაღალხარისხოვანი თამბაქოს მოყვანისათვის ნაყოფი გამოიღო. ჰექტარზე აქ მიიღეს 22,81 ცენტნერი თამბაქო.

აღნიშნული კოლმეურნეობები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში, მოწინავენი არიან არა მარტო თამბაქოს, არამედ მარცვლეული კულტურების მოყვანის დარგშიც. მათი გამარჯვების საიდუმლოება მდგომარეობს იმაში, რომ შრომა კარგად აქვთ მოწესრიგებული. ისინი მაქსიმალურად იყენებენ ქალთა და მოზარდთა შრომას. ხოლო ყველაფერი ეს ხელს უწყობს მათ ზრდასა და განმტკიცებას, კოლმეურნეთა დოვლათის ზრდას.

„წითელი დროშის" კოლმეურნეობის წევრმა ანა ფედერენკომ გასულ წელს გამოიმუშავა 246 შრომადღე. შრომადღეზე ფულად ერგო 14,05 მან., ხოლო მარცვლეული 2,19 კილოგრამი.

ცუცა მარღიევმა („წითელი არმიელის" კოლმეურნეობა) გასულ წელს გამოიმუშავა 306 შრომადღე, პეტრე შეითნიშვილმა (კოლმეურნეობა „შრომა")—718 შრომადღე, ტ. ბუთლიაშვილმა — 708 შრომადღე.

კიროვის სახელობის კოლმეურნე ქალმა ელენა სტარჩენკომ გასულ წელს 314 შრომადღეზე მიიღო 3140 მანეთი ფულად, ხოლო მარცვლეული 1300 კილოგრამზე მეტი.

ასობით ჩამოითვლება რაიონში ასეთი მოწინავე კოლმეურნეები, რომლებმაც დაუღალავი და ენერგიული მუშაობით თავი ისახელეს.

მაგრამ ჯერ კიდევ ყველა კოლმეურნეობა და კოლმეურნე როდი მუშაობს წესიერად. ჩვენს რაიონშიც აქვს ადგილი სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევის ფაქტებს. ასეთ კოლმეურნეობათა რიცხვს ეკუთვნიან: სოფ. გურგენიანის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ა. მაჩაიძე), სოფ. ბუდიონოვკის ბუდიონის სახელობის კოლმეურნეობა (თავმჯდომარე ამხ. ი. დუბინინი), სოფ. აფენის კოლმეურნეობა „წინსვლა" (თავმჯდომარე გ. ქაშაკაშვილი) და სხვ. ჩვენ ახლა მთელი თანამიმდევრობით ვახორციელებთ საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილებას, რაიც საშუალებას მოგვცემს აღმოვფხვრათ დამახინჯებები და კიდევ უფრო განვამტკიცოთ კოლმეურნეობები.

წელს ჩვენს რაიონში თამბაქოს ფართობი 3310 ჰექტარს უდრის. გადარგვა დაწესებულ ვადაზე 7 დღით ადრე დამთავრდა. ყველა პირობა არსებობს, რომ წელს კოლმეურნეობებმა ქვეყანას მისცენ უხვი და მაღალხარისხოვანი თამბაქო. მაგრამ ამისათვის საჭიროა ნარგავის დროული დამუშავება. ამჟამად პირველი თოხნა უკვე დამთავრებულია, მიმდინარეობს მეორე და მესამე თოხნა. დაწყებულია აგრეთვე თამბაქოს შეტეხა.

საკოლმეურნეო მინდვრის სტახანოველები თავდადებულად იბრძვიან თამბაქოს უხვი მოსავლისათვის. ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ვ. გულიანცმა ნაცვლად 500 კვ. მეტრისა 1120 კვ. მეტრი გათოხნა. კოლმეურნეებმა სტრიჟაკოვამ (კოლმეურნეობა „წითელ-არმიელი"), შ. ბატიაშვილმა (კოლმეურნეობა „ოქტომბრის ქარიშხალი"), კ. პეტრენკომ (კოლმეურნეობა „წითელი დროშა") 150-200 პროცენტით შეასრულეს თამბაქოს თოხნის გეგმა.

თამბაქოს მოსავლის აღება უაღრესად პასუხსაგები მომენტია. ლაგოდეხის რაიონის პარტიული, საბჭოთა და სამიწათმოქმედო ორგანოების ამოცანაა—მოსავლის უდანაკარგოდ აღება. თამბაქოს ხარისხზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის წესიერად გაშრობას და შენახვას.

მთელი მუშაობა ამჟამად მიმართულია იქითკენ, რომ ფართოდ დავნერგოთ აფხაზეთის ცნობილ სტახანოველ ბოსტანჯიანის მეთოდი, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კოლმეურნეობებს უკეთესად აწარმოონ თამბაქოს დახარისხება და გაზარდონ შრომის ნაყოფიერება.

თამბაქოს მოსავალს ჩვენს რაიონში წელს კარგი პირი უჩანს. რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა სათავეში ჩაუდგეს მის დროზე აღებისა და შენახვის საქმეს. რაიონის პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები, კოლმეურნეები უნდა დაირაზმონ იმისათვის, რომ ლაგოდეხის რაიონმა წელს ქვეყანას მისცეს უხვი და მაღალხარისხოვანი თამბაქოს მოსავალი.

სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის ახლად კურსდამთავრებული-ფრიადოსნები: ბ. ლოსაბერიძე, ნ. ჭაჭია, თ. ხელაშვილი, დ. მესხი, მ. წოწორია, ა. ძამიაშვილი, რ. დავიდოვი, ქ. ქადაგიძე.

381 ექიმი დედა-სამშობლოს

წელს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი უშვებს 381 ექიმს, სოციალისტური ჯანმრთელობის დაცვის ახალ კადრებს.

ლენინ-სტალინის დიადი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების მზრუნველობით გამოზრდილნი, ჩვენი ახლად კურსდამთავრებული ექიმები — საბჭოთა ინტელიგენციის ეს ახალი კადრი — შეუდგებიან თავთავიანთი სპეციალობის მიხედვით მუშაობას და ყოველდღიური საქმიანობით დაამტკიცებენ უდიდეს ერთგულებას და სიყვარულს სოციალისტური სამშობლოსადმი.

მას შემდეგ, რაც ჩვენმა საყვარელმა ბელადმა და მასწავლებელმა, გენიალურმა **სტალინმა** თავის ისტორიულ სიტყვაში უმაღლესი სკოლის მუშაკთა მიღებაზე კრემლში მოგვცა გაშლილი პროგრამა მოწინავე მეცნიერების განვითარებისა, ამის შემდეგ სამედიცინო ინსტიტუტის მუშაობა საგრძნობლად გარდაიქმნა, გასულ წლებთან შედარებით წელს მნიშვნელოვანი გაუმჯობესება გვაქვს, იზრდება ფრიადოსანთა რიცხვი და სხვ.

მომზადების ხარისხი გაცილებით მაღალია. ჩვენი კურსდამთავრებულების ნაწილი თავისი სურვილით მოძმე რესპუბლიკებში მიდის სამუშაოდ, მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი, რომლის მიმართ უდიდეს მზრუნველობას იჩენდა და იჩენს ქართველი ხალხის საამაყო შვილი ამხანაგი **ლ. ბერია** და რომელსაც ყოველდღიურ დახმარებას უწევს რა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, გაათკეცებული ენერგიით იბრძოლებს ისეთი კადრების გამოზრდისათვის, როგორსაც ჩვენგან მოითხოვს დიდი სტალინი.

ახლად კურსდამთავრებულთა შორის პარტიის და კომკავშირის წევრია 165, აქედან ამხანაგები დ. გაბისონია, კ. ძაძამია, ნ. მენთეშაშვილი, მ. წოწორია, პ. კახიძე, ი. ნაცვლიშვილი და სხვ. როგორც სწავლაში, ისე საზოგადოებრივ მუშაობაში საუკეთესო მაჩვენებლებს იძლეოდნენ.

სამედიცინო ინსტიტუტის პროფესორ-პედაგოგიური პერსონალი, ეუფლება რა მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, მაღლა ასწევს მოწინავე მეცნიერების დროშას და მომავალს კიდევ უფრო მაღალი მაჩვენებლებით შეხვდება.

პროფ. ა. მაჭავარიანი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საქ. სსრ ჯანსახკომის მოადგილე და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორი.

საზეიმო საღამო

გუშინ, საღამოს ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში შესდგა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტთა და პროფესორ-ლექტორთა საზეიმო სხდომა, მიძღვნილი ახლადკურსდამთავრებულთა გამოშვებისადმი.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ინსტიტუტის დირექტორმა პროფ. ალ. მაჭავარიანმა.

ახლადკურსდამთავრებულთა სასწავლო წარმატების შესახებ მოხსენებით გამოვიდა საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე პროფ. კ. ერისთავი.

მისასალმებელი სიტყვებით გამოსულმა პროფ. ნ. ყიფშიძემ ამხ. ვ. ბახტაძემ, პროფ. ე. ზაქარაიამ, ამხ. ნ. კუხალაიშვილმა და ამხ. ხ. კვარაცხელიამ ახლადკურსდამთავრებულ ექიმებს უსურვეს წარმატებით მუშაობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეში.

ფრიადოსანმა კურსდამთავრებულებმა ამხ. გაბისონიამ და ჩხაიძემ ამხანაგების სახელით გულთბილი მადლობა მიუძღვნეს ინსტიტუტის პედპერსონალს მათზე გაწეული მზრუნველობისა და ყოველდღიური დახმარებისათვის.

სხდომამ მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ხალხთა დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს**, ამხანაგ **ლ. პ. ბერიას** და ამხანაგ **კ. ნ. ჩარკვიანს.**

დასასრულ გაიმართა კონცერტი.

ექიმ-სტომატოლოგთა პირველი გამოშვება საქართველოში

ზემდგომი ორგანოების დადგენილებით თბილისში 1935 წელს გაიხსნა 4-წლიანი უმაღლესი სასწავლებელი (სტომატოლოგიური ინსტიტუტი). დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ეს ინსტიტუტი არსებობს, მაგრამ მან მაინც შესძლო სათანადო დასაყრდენი ბაზის შექმნა და საკუთარი მეცნიერული ხელმძღვანელი კადრების შემოკრება მის გარშემო.

დღეისათვის სტომატოლოგიურ ინსტიტუტში სწავლობს 659 სტუდენტი. ჩვენმა ინსტიტუტმა მესამე ხუთწლედში საბჭოების დიად სტალინურ სამშობლოს უნდა მისცეს 600-ზე მეტი ექიმი-სტომატოლოგი. აქედან ინსტიტუტი წელს სახელმწიფოს აძლევს 127 ექიმ-სტომატოლოგს. სახელმწიფო გამოცდები, რომელიც ახლახან დამთავრდა, ერთხელ კიდევ ნათელჰყოფს, რომ ინსტიტუტი უშვებს ყოველმხრივ მომზადებულ ახალგაზრდა სპეციალისტებს, თავისი სპეციალობის მცოდნეებს. სახელმწიფო გამოცდები ეს იყო პირველი გამოცდა არა მარტო გამოსაშვები სტომატოლოგებისა, არამედ მთელი ინსტიტუტის, ცალკე კათედრებისა და თვითეული პროფესორ-მასწავლებლისა. გამოცდები დიდი წარმატებით ჩატარდა და სათანადო შედეგებიც მოგვცა.

ინსტიტუტის მთელ ხელმძღვანელ კოლექტივს დასახული აქვს ამოცანა ჩვენს სტალინურ სამშობლოს მისცეს თავისი საქმის მცოდნე, ზოგადი სამედიცინო და ზოგადი ბიოლოგიური მეცნიერების მცოდნე სპეციალისტთა კადრები.

მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის გაძლიერების საქმეში ჩვენი ამოცანაა არა მარტო ავადმყოფის მოვლა, არამედ მოსახლეობაში წინასწარი პროფილაქტიკით დაავადების დასაწყისშივე მოსპობა. ეს არის მთავარი ამოცანა, რომლისკენაც მიმართული უნდა იყოს მთელი ჩვენი საექიმო პერსონალის და მათ შორის ექიმ-სტომატოლოგების ყურადღება.

ექ. გ. ბრეგაძე

რატომ არ არის ასანთი და საპონი გორში?

გორი საქართველოს რაიონულ ქალაქებს შორის ერთერთ მოწინავე ქალაქად ითვლება. მუშა-მოსამსახურეთა და დანარჩენი მოსახლეობის რაოდენობა დიდია. ამას თუ მივუმატებთ ყოველდღიურად ჩამოსულ ექსკურსანტთა დიდ რაოდენობას, გასაგებია, თუ რა უდიდესი პასუხისმგებლობა აკისრიათ ადგილობრივ, და არა მარტო ადგილობრივ, სავაჭრო-კოოპერატიულ ორგანიზაციებს სამომხმარებლო ასორტიმენტით მშრომელთა უზრუნველყოფის საქმეში.

ადგილობრივი სავაჭრო ორგანიზაციების უხეირო მუშაობის შედეგად და საქ. სსრ ვაჭრობის სახკომისარიატის უყურადღებობით დღეს გორში არ იშოვება ფართო მოხმარების ისეთი საგნები, როგორიც არის ასანთი და სარეცხის საპონი.

სავაჭრო დარგის მუშაკები თავს ვერ გაიმართლებენ იმით — თითქოს ჩვენი მსუბუქი მრეწველობა აღნიშნულ საგნებს ნაკლები რაოდენობით იძლეოდეს. ასე ფიქრი მხოლოდ გულუბრყვილო ადამიანებს შეუძლიათ. ბევრია ასანთიც და სარეცხი საპონიც, შესაძლებელია ჩაწოლილიც იყოს რესპუბლიკური სავაჭრო ორგანიზაციების საწყობებში. მაგრამ უთაურობით და საქმისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ დღეს გორში აღნიშნული საგნები არ იშოვება.

როგორც საქ. სსრ ვაჭრობის სახკომის მოადგილემ ამხ. ნიჟნიაკოვმა ჩვენი სიგნალის საფუძველზე გვაცნობა, ასანთის უქონლობა გამოწვეული ყოფილა ბელორუსიიდან ჯერ კიდევ 6 და 15 ივნისს გამოგზავნილი ასანთის მოუსვლელობით, ხოლო ერთი ვაგონი სარეცხის საპონი იგზავნება გორში.

ნუთუ არ შეიძლებოდა ვაჭრობის სახკომისარიატს დროზე მიეღო ზომები აღნიშნული მდგომარეობის გამოსასწორებლად?

ა. კ—ლი

საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა

მოწინავენი და ჩამორჩენილნი

(ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

ყასპის რაიონის კოლმეურნეობა „ძმობის" მეორე ბრიგადაში (ბრიგადირი—ამხ. სირანა ღვინიაშვილი) შრომის ნაყოფიერება გაცილებით იმაზე მეტად გაიზარდა, ვიდრე საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 27 მაისის დადგენილებამდე იყო. ამ კოლმეურნეობის მეორე ბრიგადაში 55 მუშა-ხელია, რომელსაც საუკეთესოდ მოვლილი აქვს შემოდგომის ხორბალი 86,5 ჰექტარი, შაქრის ჭარხალი—8,75, ქერი—14,25, სიმინდი—25 ჰექტარი და სხვ. ბრიგადაში წელს შექმნილია 3 მუდმივი რგოლი, რამაც ნათესების მოვლა-პატრონობა გააუმჯობესა და ამის შედეგად მოსავალსაც კარგი პირი უჩანს.

ბრიგადაში ბევრნი არიან სტახანოველი კოლმეურნეები, რომლებიც დიდი ხალისით და მონდომებით მუშაობენ. მაგალითად, ამხ. არშაკ ბზუაშვილმა შარშან 269 შრომადღე გამოიმუშავა, წელს 5 თვეში კი—181 შრომადღე. მთელ რიგ სხვა სამუშაოებთან ერთად ამხ. ბზუაშვილმა შესძლო 0,42 ჰექტარი შაქრის ჭარხლის სანიმუშოდ მოვლა.

მეორე ბრიგადაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს კოლმეურნე სანდრო თათრიშვილი, რომელმაც შარშან 396 შრომადღე გამოიმუშავა. წელს იგი რგოლის ხელმძღვანელად გამოჰყვეს და გაორკეცებული ენერგიით იწყო მუშაობა. მასაც საუკეთესოდ აქვს მოვლილი შაქრის ჭარხალი 0,42 ჰექტარზე. მას გადაწყვეტილი აქვს ამ ფართობიდან მოიყვანოს 200 ცენტნერი მოსავალი.

მეორე ბრიგადაში პატიოსანი მუშაობით თავი ისახელეს და კოლმეურნეთა პატივისცემით სარგებლობენ აგრეთვე კოტე თათრიშვილი, არშაკ დალაქიშვილი, გიორგი მერაბაშვილი და სხვები.

მაგრამ აქ არიან ცრუკოლმეურნეებიც, რომლებიც არა მარტო არ გამოდიან საკოლმეურნეო სამუშაოზე, არამედ ბუჩადაც იგდებენ ბრიგადირს. ხვილოთ სოლომონ გზირიშვილის ოჯახი. ამ ოჯახის ორ შრომის უნარიან წევრს წელს არცერთი შრომადღე არა აქვს გამომუშავებული.

მეორე კოლმეურნის—გიგა შალუტაშვილის ოჯახს ხშირად უწოდებენ „ზარმაცთა ოჯახს". გიგა შალუტაშვილი და მისი ცოლი წელს სრულებით არ მუშაობენ კოლმეურნეობაში.

ს. ყურაშვილი

პირველი დღეების შედეგები

(სამტრედია, საკ. კორესპონდენტისაგან)

საკარმიდამო ნაკვეთების აზომვის პირველი დღეების შედეგებმა ცხადჰყვეს, რომ სამტრედიის რაიონში მოიპოვებიან ისეთი კოლმეურნეები, რომელთაც საკარმიდამო ნაკვეთები სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდებით გათვალისწინებულ ნორმაზე მეტი აქვთ. სოფ. ზედა-ბაშის კოლმეურნეობის წევრს დ. მეძმარიაშვილს ნორმის გადამეტებით აღმოაჩნდა 406 კვადრატული მეტრი მიწა, ამავე კოლმეურნეობის წევრს ტ. ადეიშვილს 390 კვ. მეტრი, სოფელ მელაკრის კოლმეურნეობის წევრს ი. შენგელიას—0,3 ჰექტარი.

აზომვის დროს გამომჟღავნებულ იქნა ფიქტიურად გაყოფილი ოჯახები. მაგალითად, სოფ. იანეთში ი. დგებუაძე და ხ. შენგელია ფორმალურად გაეყვნენ შვილებს, ნამდვილად კი ისინი ერთად ცხოვრობენ და ზედმეტ საკარმიდამო ნაკვეთს ჰფლობენ.

მიწისმზომავებს დახმარებას უწევენ კოლმეურნეთა ფართო მასები. დამახასიათებელია ამ მხრივ სტახანოველი კოლმეურნეების ე. ნიკურაძის, ა. გეგეშიძის და სხვების დახმარება.

გ. სიხარულიძე

ვინ არის პასუხისმგებელი კომისიის მუშაობისათვის?

ხაშური, (ჩვენი სპეც. კორ.). ხაშურის რაიონის ცხრა-მუხის სასოფლო საბჭოში საკარმიდამო ნაკვეთების აზომვა არაორგანიზებულად მიმდინარეობს.

კომისიის თავმჯდომარეს ამხ. შ. დევდარიანს კოლმეურნეთა საკარმიდამო ნაკვეთები და ერთპიროვნულ მეურნეთა მიწები ერთ აქტში შეჰქონდა.

არ სწარმოებს ახსნა-განმარტებითი მუშაობა პარტიისა და მთავრობის 27 მაისის ისტორიულ გადაწყვეტილებათა სოფლის მშრომელი მოსახლეობისათვის გასაცნობათ.

ზოგან აჭიანურებენ საკარმიდამო ნაკვეთების აზომვას. მაგალითად, 3 ივლისს სოფ. ცოცხნარის მიწების ამზომავი კომისია არ მუშაობდა.

მ. თევზაძე

ფართოვდება სოცშეჯიბრება კოლმეურნეთა ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის

თელავი, 5 ივლისი (საკ. კორ.). თელავის რაიონის კოლმეურნეობები დროულად გამოეხმაურნენ გორის რაიონის კოლმეურნეთა წერილს — „ღირსეულად შევხვდეთ კოლმეურნეთა ყრილობას".

სოფელ აკურის კოლმეურნეობა „მოწინავეში" ჩატარდა წევრთა საერთო კრება, რომელზეც განხილულ იქნა აღნიშნული წერილი. კრებამ, რომელსაც 200-მდე წევრი ესწრებოდა, ერთსულოვნად დაუჭირა მხარი გორის რაიონის კოლმეურნეთა შესანიშნავ წამოწყებას და გადაწყვიტა ჩაებას სოციალისტურ შეჯიბრებაში ამავე რაიონის სოფელ ჯებირის კოლმეურნეობა „სიმაგრესთან".

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ს. ბლუაშვილი, შ. იორდანიშვილი, ს. ქევხიშვილი, გ. ზუგუტიშვილი და სხვ., რომლებმაც აიღეს ვალდებულებანი კოლმეურნეთა ყრილობის ღირსეულად შეხვედრისათვის.

ასეთივე კრებები ჩატარდა სოფელ სანიორის პირველი მაისის სახელობის, აგრეთვე ლაფანყურისა და ნაფარეულის კოლმეურნეობებში.

შ. მაჭავარიანი

პარტიული ცხოვრება

პარტიაში მიღებას სუსტად ხელმძღვანელობენ

(ფოთი, საკ. კორესპონდენტისაგან)

საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის შემდეგ დიდად გაიზარდა მოწინავე ადამიანთა სწრაფვა პარტიისაკენ. კერძოდ, საკ. კ. პ. (ბ) რიგებში შედიან საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები — მასწავლებლები, ექიმები, ინჟინრები, აგრონომები.

ამასთან ერთად ცალკეულ ორგანიზაციებში თავი იჩინა პარტიაში მისაღებთა ინდივიდუალური შერჩევის წესის დარღვევამ, პირველადი პარტიული ორგანიზაციები ყოველთვის როდი იცავენ საკ. კ. პ. (ბ) წესდების მოთხოვნებს.

სოფ. ყულევის ტერიტორიულმა პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო გ. ფაჩულია. იგი 1929 წელს საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გაურიცხავთ აზარტული თამაშისათვის. პარტორგანიზაცია (პარტორგი — შ. შონია) არც კი დაინტერესებულა იმით, თუ როგორ გარდაიქმნა გ. ფაჩულია. სინამდვილეში იგი არავითარ საზოგადოებრივ საქმიანობაში არ მონაწილეობს, სამსახურებრივ მოვალეობას ცუდად ასრულებს; სასადილო, რომელსაც გ. ფაჩულია, განაგებს უმსგავსოდ მუშაობს. ფაჩულიას არ წაუკითხავს საკ. კ. პ. (ბ) წესდება, იგი არ იცნობს იმ პარტიის წესდებას, რომლის რიგებში შესვლასაც აპირებდა.

განათლების განყოფილებასთან არსებულმა პარტორგანიზაციამ პარტიის რიგებში მიიღო მუსიკალური სასწავლებლის მოანგარიშე ნ. ზოიძე, რომელსაც ანგარიშწარმოებაში არევ-დარევა აღმოაჩნდა. კიდევ მეტი, სარეწაო არტელების პარტორგანიზაციამ საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიიღო თ. ნადირაძე, რომელიც არც წარმოებაში და არც საზოგადოებრივ საქმიანობაში მოწინავე არ არის. პარტორგმა თ. ნადირაძის პარტიის რიგებში მიღება ასე ახსნა — „მას სურვილი ჰქონდა პარტიაში შესვლისა და როგორ არ მიგვეღო".

პარტიის საქალაქო კომიტეტი სანამ ბიუროზე განიხილავდეს მისაღები ამხანაგის საკითხს, ქალაქკომის მეორე მდივანი ამხ. გ. ვაჩაძე წინასწარ ამოწმებს მას, არკვევს, რაც საჭიროა პარტიაში მიღებისათვის. ეს ღონისძიება კარგია. მისი მეოხებით გამორკვეულ იქნა პირველადი პარტორგანიზაციების მიერ პარტიაში ხელაღებით მიღების რამდენიმე ფაქტი. მაგრამ მარტო პარტიის საქალაქო კომიტეტი კი არ უნდა მუშაობდეს ასე, ასეთივე პასუხისმგებლობა ეკისრებათ პირველად პარტიულ ორგანიზაციებს; ამიტომ საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტმა უნდა მიაღწიოს, რომ თვით პირველადი პარტიული ორგანიზაციები მტკიცედ იცავდნენ საკ. კ. პ. (ბ) წესდებას.

ზ. მელიქია

სტალინელთა ღია პარტიულ კრებაზე

ამ დღეებში პლეხანოვის სახელობის კლუბში ჩატარდა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონ-სარემონტო ქარხნის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ღია კრება, რომელსაც 700-ზე მეტი კაცი ესწრებოდა.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მაისის პლენუმის შედეგებზე მოხსენებით გამოვიდა ამიერ-კავკასიის რკინიგზის პოლიტგანყოფილების უფროსი ამხ. ი. სვანაძე.

ამხ. სვანაძემ თავის მოხსენებაში მოიყვანა მრავალი ფაქტი იმის შესახებ, თუ როგორ ნიავდებოდა საზოგადოებრივი მიწები ზოგიერთ კოლმეურნეობაში, რაც დიდად აფერხებდა კოლმეურნეობათა შემდგომი წინსვლის საქმეს.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 10 ამხანაგმა. ორატორებმა ვრცლად ილაპარაკეს პარტიისა და მთავრობის 27 მაისის დადგენილების უდიდეს მნიშვნელობაზე კოლმეურნეობათა შემდგომი განმტკიცების საქმეში.

როგორც ორატორებმა აღნიშნეს, ჩვენს ქარხანაშიც მოიპოვებიან ისეთი მუშები (ემმაკურაშვილი, ბ. მანუკიანი, ივ. მამუკაძე და სხვ.), რომლებიც ითვლებიან კოლმეურნეობის წევრებად და მუშაობენ ქარხანაში. მაგრამ სინამდვილეში ისინი ერთგულად არც ქარხანაში მუშაობენ, ისევე როგორც კოლმეურნეობაში, არამედ უმთავრესად ფრენიობასა და სპეკულაციის ეწევიან, ქარხანაში სამუშაოდ კი მაშინ მოვლენ, როცა რკინიგზის წლიური ბილეთები დასჭირდებათ.

ღია პარტიულმა კრებამ მოხსენების გარშემო მიიღო სათანადო პრაქტიკული ღონისძიებანი.

ლ. გვარამაძე

საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის პლენუმი

(ხაშური, საკ. კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში შესდგა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მორიგი პლენუმი, რომელმაც მოისმინა საქ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის მდივნის ამხ. ალ. ხუჯაძის მოხსენება პარტორგანიზაციების ამოცანების შესახებ მასობრივ-თავდაცვითი მუშაობის დარგში.

მოსმენილ იქნა აგრეთვე აგარის შაქრის ქარხნის პარტბიუროს მდივნის ამხ. ი. ჩიქვილაძის და სურამის ტერიტორიული პარტორგანიზაციის მდივნის ამხ. სამხარაძის მოხსენებები პარტიაში მიღებისა და პარტკანდიდატებთან მუშაობის შესახებ.

განხილული საკითხების გარშემო პლენუმმა მიიღო სათანადო გადაწყვეტილებანი.

ვ. ხეთაგური

პოლტავის გამარჯვების ძეგლები

230 წლის წინათ, როდესაც ამპარტავან შვედ დამპყრობლებს პოლტავაში უნდოდათ ეპოვნათ მოსკოვის გასაღები, მაგრამ თავისი სამარცხვინო დაღუპვა ჰპოვეს იქ, — ეს ქალაქი წარმოადგენდა პატარა დაბას, სადაც მხოლოდ ოთხი ათასი მცხოვრები იყო. ახლანდელი პოლტავა შორს გასცილდა მის ფარგლებს. პოლტავაში 130.000 მცხოვრებია, აქ არის მანქანათმშენებლობის, მსუბუქი და კვების ინდუსტრია, უმაღლესი სასწავლებლები.

პოლტავის ისტორიულ მუზეუმში გვიჩვენებენ გეგმას, რომელიც წარმოგვიდგენს ამ ქალაქის სახეს შვედი ინტერვენტების წინააღმდეგ სახელოვანი თავდაცვის წელს. იქ, სადაც გადაჭიმული იყო სიმაგრეები, რომლებზეც შვედების იერიშებს იგერიებდნენ, ახლა დაბურული ბულვარებია. შვედების სანგრები ქალაქის ბაღში ჩაიმარხა. ბასტიონები მოექცა ლამაზი სახლების საძირკვლებ ქვეშ. მდინარე ვორსკლაზე, იმ ადგილას, სადაც სიმაგრეები ააგო მენშიკოვმა, რომელიც ალყაშემორტყმული ქალაქის დასახმარებლად მოეშურებოდა, აგებულია ხიდი. აქ გადის გზა ხარკოვისაკენ.

ქალაქის ყველა სიმაგრე, რომლებსაც ახლა დიდი ისტორიული ინტერესი ექნებოდა, დანგრეული იქნა ჯერ კიდევ 1817 წელს, როდესაც პოლტავაში ალექსანდრე პირველის ჩასვლას ელოდნენ. ზომაზე მეტად გულმოდგინე ადმინისტრატორებს მოუსურვებიათ „გაესუფთავებინათ" ქალაქი მონარქის ჩამოსვლისათვის. ამგვარად გაჰქრა პოლტავაში ისტორიის ძვირფასი ძეგლები.

არც ის სახლია დაცული, რომელშიაც პეტრე ისვენებდა სასახელო გამარჯვების შემდეგ. ქალაქის ცენტრში გვიჩვენებენ მხოლოდ იმ ადგილს, სადაც ეს სახლი მდგარა. პოლტავის ბრძოლის ასი წლისთავზე აქ ძეგლი დადგეს. ის წარმოადგენდა სწორკუთხოვან პირამიდას, რომელიც გრანიტისსაფეხურებიან კვარცხლბეკზე იდგა. პირამიდის თავზე იყო მახვილი და ფარი, ხოლო მათ ზემოთ მხედართმთავრის ბრინჯაოს მუზარადი. ძეგლზე გამოყვანილი ბარელიეფი გამოხატავდა მწოლარე ლომს — მოსვენების სიმბოლოს. მოკლე წარწერა ასეთი იყო: „აქ პეტრე ისვენებდა თავისი შრომის შემდეგ".

ეს ძეგლი დაინგრა. ამჟამად, პოლტავის გამარჯვების 230 წლისთავის წინადღეებში, მის რესტავრაციას ახდენენ. წესრიგში მოიყვანეს ერთერთი იმ მცირეოდენ ძეგლთაგანი, რომლებიც დარჩენილია ქალაქში — „დიდების ძეგლი". ეს მაღალი ობელისკია, თუჯის მესერით შემოზღუდული, და ეფექტიანად მოჩანს მწვანე ალვის ხეებისა და ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობის ფასადის რუსული ამპირის სტილის სვეტების ფონზე.

პირველი მაისის პროსპექტზე, ქალაქის ბაღის პირდაპირ, სწარმოებს პოლტავის მამაცი დამცველის, ციხის კომენდანტ კელინის ძეგლის აღდგენა. ისტორიამ არ შეგვინარჩუნა პეტრეს ამ მოხელის არც ბიოგრაფია, არც ცნობები მის ცხოვრებაზე. ცნობილია მხოლოდ, რომ პოლტავის შემდეგ იგი დაინიშნა კომენდანტად აზოვში, რომელსაც პეტრე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. ცნობილია აგრეთვე, რომ პეტრემ მას მადლობა გადაუხადა სამშობლოს ერთგული სამსახურისათვის, როდესაც პოლტავაში შევიდა. არის ცნობები, რომ კელინი იწერდა პოლტავის თავდაცვის მსვლელობას. მაგრამ ეს ხელნაწერი ნაპოვნი არ არის.

წესრიგში მოყვანილი და შევსებულია სახელმწიფო ისტორიული მუზეუმიც. შეცვლილია ისტორიული ქრონოლოგიის შესაბამისად მუზეუმის ექსპოზიცია. მოტანილია ახლად აღმოჩენილი ექსპონატები.

ერთერთი ასეთი ექსპონატი — ზარბაზნის ლაფეტი, რომელიც 200 წელიწადზე მეტს მიწაში იყო და ამასწინათ აღმოჩენილ იქნა, — მუზეუმის მთავარ დარბაზშია, პეტრეს ქანდაკების პირდაპირ. მის გვერდით არის მწვანე მაუდი თეთრი ნაკერით. ეს რუსეთის ჯარის, პოლკის 1709 წლის დროშაა.

მუზეუმში კარგად არის დაცული პოლტავის ბრძოლაში მონაწილე ზოგიერთი პოლკის მუნდირები. რუსეთის მიწა-წყალს მტრის შემოსევისაგან იცავდა არა მარტო პეტრეს გვარდია — სემიონოვსკელები და პრეობრაჟენსკელები — და არა მარტო ცენტრალურ გუბერნიებში შეკრებილი ჯარი. არ ყოფილა რუსეთის ისეთი კუთხე, საიდანაც არ მოსულიყვნენ პოლტავაში ჯარები, რათა გაეცამტვერებინათ მათს მიწა-წყალზე შემოსეული ინტერვენცია.

პეტრეს 50 ათასიანი ჯარი გაყოფილი იყო 61 ქვეითა ათასეულად 72 ქვემეხით და 23 დრაგუნთა პოლკად. მას თავის შემადგენლობაში ჰყავდა პოლკები, რომლებიც შეკრებილი იყვნენ უკრაინაში—კიევში, შორეულ ციმბირში, სამხრეთში — დონის ველებზე, ჩრდილოეთშიც — ცივ ვიატკაში. მოელოდნენ ყალმუხთა ჯარსაც. მაგრამ მან მოუსწრო მხოლოდ მეორე დღეს, როდესაც რუსი ხალხის თავდაცვითი ომი უკვე დამთავრდა მტრის განადგურებით.

1608 წლის ივლისში ბერეზინაზე გადმოსვლისას კარლოს XII-ს თითქმის ასიათასიანი არმია ჰყავდა. ერთი წლის შემდეგ, 1609 წლის ივლისში, როდესაც ის მდინარე ბუგზე გადადიოდა, რომ მენშიკოვის ცხენოსან ჯარს გაჰქცეოდა, მას, გამცემელ ივანე მაზეპასთან ერთად, სულ რაღაც ოციოდე კაცი მიჰყავდა თან. ესღა დარჩა შვედების დიდი არმიისაგან, რომელიც უძლეველად ითვლებოდა და რომელიც ბურთივით ათამაშებდა პრუსიის, საქსონიის, დანიისა და პოლონეთის სამეფო ტახტებს.

— „ჩვენი ეს სახელი შეშურდებათო"...

ეს ამონაწერი ოვიდიუსიდან ამოკვეთილია (ლათინურად) იმ მედლებზე, რომლებიც გამოშვებულ იქნა 1709 წლის 7 ივლისის ბრძოლის სახსოვრად. ეს მედლები გამოფენილია მუზეუმში — ერთ მხარეზე გამოხატულია პეტრე გაჭენებულ ცხენზე, მეორეზე კი ბრძოლის გეგმა.

ამ სახელოვანი ბრძოლის ამბავი დასავლეთ ევროპას მოედო. რუსეთი ფართო საერთაშორისო ასპარეზზე გამოდიოდა და ევროპის სახელმწიფოებს უკვე აღარ შეეძლოთ ყური არ ეგდოთ მისი ხმისათვის. ლუი XIV, ფრიდრიხ I, ჰანოვერის კურფიურსტი ცდილობდნენ დაახლოვებოდნენ პეტრეს და კავშირი დაედოთ მასთან.

„ამჟამად ს.-პეტერბურგის დაარსებას სავსებით ჩაეყარა საძირკველიო",—სწერდა პეტრე პოლტავის ბრძოლის შემდეგ გრაფ აპრაქსინს. რუსეთი გავიდა ზღვაზე, თავის საზღვრებში მოაქცია თავისი ძველი ისტორიული სამფლობელოები, რომლებიც წინათ წაართვა მას გათავხედებულმა მტერმა. რუსეთი აწარმოებდა სამართლიან თავდაცვითს ბრძოლას და იმისათვის, რომ თავისი გამარჯვება განემტკიცებინა, იძულებული გახდა გადაეტანა ეს ბრძოლა მტრის მიწა-წყალზე. პოლტავის შემდეგ შვეციას იარაღი არ დაუყრია. მხოლოდ მას შემდეგ, რაც 1721 წელს რუსეთის ჯარები სტოკჰოლმის კედლებს მიადგნენ, შვეციამ ხელი მოაწერა ნიშტადტის ზავს. ამ ზავმა აღადგინა რუსეთის კანონიერი უფლებანი, რომლებიც ფეხქვეშ გათელილი იყო შვეციის მიერ.

შვედებთან ომი რუსი ხალხის სამართლიანი ომი იყო. პოლტავის ბრძოლის — ხალხის მიერ თავისი სამშობლოს დაცვის ამ სიმბოლოს — შემდგომ ორმა საუკუნემ განვლო. „თქვენი გმირული საქმეები, — ეუბნებოდა პეტრე ჯარებს ბრძოლის შემდეგ, — არასოდეს არ იქნება დავიწყებული შთამომავლობაშიო". დიაღაც რომ არასოდეს არ იქნება დავიწყებული!

როგორც ჩუდის ყინულზე ბრძოლა, როგორც ბოროდინო, — პოლტავა მრისხანე გაფრთხილებას წარმოადგენს ყველასთვის, ვისაც სურს ხელჰყოს ჩვენი მიწაწყლის წმინდათა-წმინდა საზღვრებს.

„Пропав, як швед під Полтавою" („დაიღუპა, როგორც შვედი პოლტავასთან") — ეს ანდაზა დღემდე დარჩენილია უკრაინაში. იგივე ბედი, რაც შვედებმა იგემეს პოლტავასთან, მოელის ყოველ მტერს, რომელიც კი ჩვენი საზღვრების გადმოლახვას გაბედავს.

ვ. ყარა-მურზა

პოლტავა, 30 ივნისი.



„პოლტავის გამარჯვება" რუსეთის ისტორიული მხატვრობის გამოფენის ექსპონატი — ა. ე. კოცებუს სურათი.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ა. კოვალევსკი

პოლკის კომისარი

პოლტავის ბრძოლა

(230 წლისთავის შესრულების გამო)

1708 წლის ზაფხულში რუსეთის საზღვრებში შემოიჭრნენ უცხოელი დამპყრობლები. ეს იყო შვედი ბარონების არმია, რომელსაც მეფე კარლოს XII ხელმძღვანელობდა. შვედმა ბარონებმა და მათმა მეთაურმა, პატივმოყვარე მეფემ რუსეთის სახელმწიფოს დაპყრობის გრანდიოზული გეგმები დაისახეს. ამ მიზნით კარლოს XII-მ შეჰკრიბა 100 ათასზე მეტი ჯარისკაცი რუსეთის დასავლეთ საზღვრებზე და მოამზადა 20-ათასიანი სათადარიგო არმია თვით შვეციაში. „მოსკოვზე ტრიუმფალური გალაშქრებისათვის" მან ჩამოაყალიბა 45-ათასიანი არმია ბრძოლებში ყველაზე უფრო გამოცდილი პოლკებიდან. სწორედ ეს არმია შემოიჭრა რუსეთში.

უცხოელთა შემოსევის საშიშროება მით უფრო სერიოზული იყო, რომ შვეციის არმია იმ დროს უძლიერესი არმია იყო ევროპაში, ხოლო კარლოს XII — ფრიად ნიჭიერი მხედართმთავარი. ცოტა ხნის წინათ დანიელებზე, პოლონელებსა და საქსონელებზე მოპოვებული გამარჯვებებით აღტაცებულმა კარლოს XII-მ დასძრა თავისი არმია სმოლენსკ-მოსკოვის გზით. იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთში მას არ შეხვდებოდა ძალა, რომელსაც შეეძლებოდა გამკლავებოდა მის „განთქმულ ლაშქარს". კარლოს XII და მისი გენერლები ვარაუდობდნენ, რომ ზამთარს მოსკოვში გაატარებდნენ. შვეციის მეფემ ზუსტად მოიფიქრა მოსკოვში თავისი „ტრიუმფალური" შესვლის მთელი პროცედურა და მოსკოვისათვის წინდაწინვე გუბერნატორიც კი დანიშნა.

მაგრამ კარლოს XII და მისი ბარონები სასტიკად მოსტყუვდნენ ანგარიშში. მათ დაავიწყდათ, რომ მათი წინაპრები უკვე ერთხელ დაამარცხა რუსმა ხალხმა XIII საუკუნეში ნევის ნაპირებზე. მათ დაავიწყდათ, რომ გმირ რუს ხალხს ეხერხება და უყვარს ბრძოლა. მათ ვერ გაითვალისწინეს, რომ თავისუფლების მოყვარული ხალხი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამართავდა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის, და ამაში ისინი დარწმუნდნენ მაშინვე, როგორც კი რუსეთის საზღვარს გადმოვიდნენ. რუსეთის მოსახლეობა დამპყრობლებს მეტისმეტად მტრულად შეხვდა. გლეხები და ქალაქის მცხოვრებლები სწვავდნენ სურსათის, პირუტყვის საკვების მარაგს, თან მიჰყავდათ პირუტყვი, ანგრევდნენ ხიდებს, აფუჭებდნენ გზებს. ტყეებში გაჩნდა პარტიზანული რაზმები. ლაშქრობის თვით დასაწყისშივე კარლოს XII-ის არმიაში დაიწყო შიმშილობა.

შვედი ბარონები ფიქრობდნენ, რომ მათ მოუხდებოდათ ბრძოლა მხოლოდ რუსეთის არმიასთან, ნამდვილად კი მთელ ხალხს შეეტაკნენ. კარლოს XII-მ ვერ გაითვალისწინა ის უდიდესი ცვლილებებიც, რომლებიც მოხდა რუსეთში იმ დროიდან, როდესაც იგი პირველად შეეჯახა რუსეთის არმიას ნარვასთან 1700 წელს. მაშინ კარლოსმა შესძლო ცუდად შეიარაღებული და ცუდად გაწვრთნილი რუსეთის არმიის დამარცხება. მაგრამ მაშინაც რუსების დამარცხების მთავარი მიზეზი იყო ღალატი უცხოელი გენერლების მხრივ, რომლებიც რუსეთის არმიას მეთაურობდნენ.

რვა წლის განმავლობაში პეტრე I-მა ძალღონის დიდი დაჭიმვით ბევრი რამის შეცვლა შესძლო. ამხანაგი სტალინი, აფასებდა რა პეტრე I-ის რეფორმატორულ მოღვაწეობას ამბობდა: „როცა პეტრე დიდი, რომელსაც საქმე ჰქონდა დასავლეთ ევროპის უფრო განვითარებულ ქვეყნებთან, გამალებით აშენებდა ქარხნებს და ფაბრიკებს არმიის მოსამარაგებლად და ქვეყნის თავდაცვის გასაძლიერებლად, ეს იყო ჩამორჩენილობის ჩარჩოებიდან ამოხტომის თავისებური ცდა". (ლენინიზმის საკითხები, მე-9 გამოც., გვ. 419).

პეტრე I-მა შესძლო სავსებით თანამედროვე არმიის შექმნა, რომელსაც ჰყავდა თავისი რუსული მეთაურთა შემადგენლობა, საკმაოდ კარგად იყო აღჭურვილი აუცილებელი სამხედრო ტექნიკით და დაუფლებული იყო ამ ტექნიკას. კარლოს XII-ის შემოსევის მომენტისათვის რუსეთის არმიას უკვე საკმაოდ დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა მიღებული პოლონეთსა და ბალტიის მხარეში შვეციის გენერლების ჯარებთან ბრძოლაში.

როდესაც შვეციის არმია რუსეთის შუაგულისაკენ დაიძრა, პეტრე I-მა და მისმა თანამებრძოლებმა სავსებით სწორი გადაწყვეტილება მიიღეს: მორიდებოდნენ დაუყოვნებელ გადამწყვეტ ბრძოლას მოწინააღმდეგესთან, რომლის ძალებიც მათ რიცხვობრივად აღემატებოდნენ, და დაეხიათ ქვეყნის შუაგულში, დაეუძლურებინათ მტერი განუწყვეტელი თავდასხმებით, პატარა ბრძოლებით.

მოსახლეობის უაღრესად მტრული დამოკიდებულება, განუწყვეტელი შეტაკებები რუსეთის არმიასთან და პარტიზანულ რაზმებთან, სწრაფად ასუსტებდნენ კარლოს XII-ს არმიას. მან დაიწყო შემცირება რიცხვობრივად, მისი საბრძოლო განწყობილება ეცემოდა. ამის შედეგად კარლოს XII იძულებული გახდა ხელი აეღო მოსკოვის წინააღმდეგ პირდაპირ გალაშქრებაზე. მან გადაწყვიტა ესარგებლა გეტმან მაზეპას გამცემლობით და 1708 წლის სექტემბერში დაიძრა უკრაინისაკენ. უკრაინაში კარლოს XII აპირებდა ზამთრის გატარებას, თავისი არმიის შევსებას ცოცხალი ძალით და მის გამაგრებას საომარი მასალით, რომლებსაც მოელოდა ბალტიისპირა ქვეყნებიდან. გარდა ამისა, კარლოსს იმედი ჰქონდა, რომ მიიღებდა დახმარებას მის მხარეზე გადასულ უკრაინის გეტმან მაზეპასაგან, ყირიმის ხანისა და პოლონეთის მეფისაგან. ახალი გეგმის მიხედვით კარლოს XII-მ გადაწყვიტა წასულიყო მოსკოვზე სამხრეთიდან.

მაგრამ ეს გეგმაც ვერ განხორციელდა. ვიდრე კარლოსი უკრაინას მიაღწევდა, მან მიიღო ცნობა, რომ გენერალ ლევენგაუპტის კორპუსი, რომელსაც იგი ასე დიდხანს ელოდა, განადგურებულია. 28 სექტემბერს 12-ათასიანი „მფრინავი კორპუსი" პეტრე I-ის პირადი სარდლობით დაეწია ლევენგაუპტს სოფელ ლესნაიასთან და დაამარცხა იგი. თავისი 16-ათასიანი კორპუსიდან ლევენგაუპტმა ძლივს გადაარჩინა ნახევარზე ნაკლები. გამარჯვებულთა ხელში დარჩა მთელი არტილერია (17 ზარბაზანი), 44 დროშა და ათასობით ურმები, დატვირთული საომარი მასალით, სურსათით, ფურაჟით. ამ გამარჯვებამ მტერზე, რომელიც რიცხობრივად აღემატებოდა რუსეთის არმიას, ძლიერ გაამხნევა უკანასკნელი. ლეგენდა შვედების უძლეველობის შესახებ კვამლივით გაიფანტა. რუსი ჯარისკაცები, რომლებიც ამ ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ, განსაკუთრებული სიმტკიცითა და უნარით იბრძოდნენ. გენერალი გოლიცინი შემდეგნაირად ახასიათებს ბრძოლაში ჯარისკაცების მოქმედებას: მთელი დღე ცეცხლის ქვეშ იდგნენ და არ აურევიათ რიგები, არ დაუთმიათ არცერთი გოჯი მიწა, სროლისაგან თოფებს ოთხჯერ ცეცხლი გაუჩნდათ. ოთხჯერ აივსეს ჩანთები და ჯიბეები ვაზნებით".

ლევენგაუპტის კორპუსის განადგურება იყო პირველი სერიოზული ლახვარი კარლოს XII-ის ახალი გეგმისათვის.

უკრაინაში კარლოს XII-ს შეხვდნენ მხოლოდ მოღალატე მაზეპა და მისი მცირერიცხოვანი მომხრეები. უკრაინელმა ხალხმა, ისევე როგორც რუსმა ხალხმა, შვედებში თავისი მტრები დაინახა და მათ წინააღმდეგ პარტიზანული ომი გააჩაღა. შვედების არმიას, რომელიც დაბანაკდა უკრაინის ქალაქებში — გადიაჩში, რომნაში, პრილუკში, ლოხვიცაში, განუწყვეტლივ ესხმოდნენ თავს პარტიზანული რაზმები. შვედები განიცდიდნენ სურსათის, საომარი მასალის მწვავე ნაკლებობას.

კარლოს XII-ს არმიამ ბრძოლებში დამარცხებისა და მოსახლეობის მტრული დამოკიდებულების გავლენით, დაიწყო ხრწნა. გაჩნდა დეზერტირობა, გახშირდა ოფიცრებისათვის ჯარისკაცების დაუმორჩილებლობის შემთხვევები. უფრო შორსმჭვრეტელი შვედი გენერლები მიხვდნენ და ცდილობდნენ დაემტკიცებინათ თავიანთი მეფისათვის რუსეთთან შემდგომი ომის უმიზნობა და წინადადებას აძლევდნენ უკან დაეხიათ და პოლონეთში გადასულიყვნენ. მაგრამ კარლოსს ფიქრიც არ უნდოდა უსახელო უკანდახევაზე. მან გასცა ბრძანება ალყა შემოერტყათ გამაგრებულ ქალაქ პოლტავისათვის. კარლოსს იმედი ჰქონდა, რომ პოლტავის აღებით იგი აამაღლებდა თავის პრესტიჟს. მისი აზრით, პოლტავის ალყა მოიზიდავდა აქეთ რუსეთის არმიის მთავარ ძალებს და ეს შესაძლებლობას მისცემდა მას დაემარცხებინა რუსები ღია ბრძოლაში.

1709 წლის აპრილში დაიწყო პოლტავის ალყა. ქალაქის გარნიზონმა და მცხოვრებლებმა შვედებს მედგარი წინააღმდეგობა გაუწიეს. ქალაქში იყო 4 ათასი ჯარისკაცი და მოსახლეობისაგან შემდგარი 2-ათასიანი შეიარაღებული რაზმი. მამაც და მცოდნე პოლკოვნიკ კელინის მეთაურობით მათ მოიგერიეს კარლოსის ჯარების ყველა იერიში. პოლტავის მამაცი დამცველები არაერთხელ გადიოდნენ გარეთ და აყენებდნენ მტერს სერიოზულ ზიანს.

მარცხით გაგულისებულმა კარლოსმა 21 ივნისს გასცა ბრძანება სასტიკად დაეშინათ ზარბაზნები ქალაქისათვის, მიუხედავად იმისა, რომ შვედების არტილერიას ჰქონდა ყუმბარების მეტად მცირე მარაგი. ბომბარდირების შემდეგ განსაკუთრებული მოიერიშე რაზმი გაშლილი დროშებით, დაფდაფის ცემით გადავიდა შეტევაზე. ციხესიმაგრის სანგრებზე გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლა. შვედების იერიშის მოგერიებაში მონაწილეობა მიიღეს მოხუცებმა და ქალებმაც კი. იბრძოდნენ ფიწლებით, კეტებით, ცელებით, ქვებით. ეს უკანასკნელი იერიშიც მოგერიებულ იქნა.

ამ დროს ქალაქს მოადგა რუსების რეგულარული არმია და კარლოსი იძულებული იყო მოეხსნა ალყა. დადგა გადამწყვეტი შეტაკების მომენტი. ორივე არმიამ გაძლიერებით დაიწყო მზადება მომავალი გენერალური ბრძოლისათვის.

პოლტავასთან მოსული რუსეთის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები აღგზნებული იყვნენ სურვილით შებრძოლებოდნენ მტერს, რომელმაც გაბედა მათი სამშობლოს დამოუკიდებლობის ხელყოფა. პეტრე I, რომელიც სარდლობდა რუსეთის არმიას, მეტად გულმოდგინედ და მოფიქრებულად ემზადებოდა გადამწყვეტი ბრძოლისათვის. პეტრე I-მა უზრუნველჰყო თავისი ძალების საჭირო სიჭარბე მტრის ძალებზე. პეტრეს ხელმძღვანელობით შერჩეულ იქნა საუცხოო პოზიცია, რომელიც გაამაგრეს მიწის რამდენიმე სანგრით (რედუტით) ჯარების მთავარი პოზიციის წინ. ამ სიახლემ შესაძლებელი გახადა არევ-დარევის შეტანა იერიშზე გადმოსული მოწინააღმდეგის რიგებში, ვიდრე ის მიაღწევდა ძირითად პოზიციებს. გარდა ამისა, ის აიძულებდა მოწინააღმდეგეს შეტევაზე წამოსულიყო იმ მიმართულებით, რომელიც უნდოდა პეტრე I-ს. ბრძოლის წინ პეტრემ მიმართა რუსეთის ჯარებს ბრძანებით, რომელშიც ნათქვამი იყო: „მეომრებო!.. დადგა ჟამი, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს სამშობლოს ბედი. თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ იბრძვით პეტრესათვის. თქვენ იბრძვით იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც პეტრეს აქვს მინდობილი, თქვენ იბრძვით თქვენი მოდგმისათვის, სამშობლოსათვის... ხოლო პეტრეს შესახებ იცოდეთ, რომ მას სიცოცხლე ძვირად არ უღირს, ოღონდ რუსეთი ცოცხლობდეს დიდებითა და ბედნიერად თქვენი კეთილდღეობისათვის". რუსეთის ჯარების მორალური მდგომარეობა შეუდარებლად უკეთესი იყო, ვიდრე შვედებისა.

1709 წლის 27 ივნისს (ახალი სტილით 8 ივლისს) დილით კარლოს XII-მ შემოუარა თავის ჯარებს და უბრძანა დაეწყოთ ბრძოლა. შვედების ოთხი ღრმა კოლონა დაიძრა რუსების სიმაგრეებისაკენ. მათ ეკვეთა რუსების ცხენოსანი ჯარი მენშიკოვის მეთაურობით. დაიწყო პოლტავის განთქმული ბრძოლა.

დილის 9 საათზე რუსეთის ქვეითი ჯარი გადავიდა იერიშზე. პეტრე I პირადად ხელმძღვანელობდა იერიშს და თავისი მაგალითით აღაფრთოვანებდა ჯარებს. შვედებმა ვერ გაუძლეს რუსეთის ქვეითი ჯარის შეტევას და „ზურგი უჩვენეს". შვედების არმია, რომელსაც ფრონტიდან ავიწროებდა ქვეითი, ხოლო ფლანგებიდან ცხენოსანი ჯარი, გაიქცა. გაიქცა აგრეთვე მისი სარდალი კარლოს XII.

მთლიანად განადგურებულმა შვედების არმიამ დაჰკარგა 9 ათასზე მეტი მოკლული და დაჭრილი. 3 ათასი კაცი წაყვანილ იქნა ტყვედ ჯერ კიდევ ბრძოლის ველზე. ტყვედ ჩავარდნენ კარლოს XII-ს საუკეთესო გენერლებიც. გამარჯვებულებმა ხელში ჩაიგდეს შვედების 130 დროშა და მთელი არტილერია. შვედების განადგურებული არმიის ნარჩენები რუსმა ცხენოსანმა ჯარმა დნეპრთან მოამწყვდია. 16 ათასმა დემორალიზებულმა შვედმა ჯარისკაცმა აქ იარაღი ჩააბარა მენშიკოვის დრაგუნთა პოლკებთან. მხოლოდ კარლოსმა და მოღალატე მაზეპამ მცირე რაზმით მოახერხეს გადასვლა დნეპრზე და თურქეთში შეაფარეს თავი. რუსეთის ფარგლებში შემოჭრილმა შვედების არმიამ შესწყვიტა არსებობა.

პოლტავასთან სისხლისმღვრელ ბრძოლაში 230 წლის წინათ რუსმა და უკრაინელმა ხალხებმა მოიპოვეს ბრწყინვალე გამარჯვება შვედ ბარონებზე და დაიცვეს თავიანთი სამშობლო დამპყრობელთა შემოსევისაგან. პოლტავის ბრძოლამ მთელ მსოფლიოს უჩვენა რუსი ჯარისკაცების განსაკუთრებული საბრძოლო თვისებები და გმირობა.

პოლტავასთან შვედების არმიის განადგურებამ დიდი გავლენა მოახდინა ჩრდილოეთის ომის შემდგომ განვითარებაზე. ამით დაიწყო ბალტიის ზღვაზე შვეციის სამხედრო ჰეგემონიის კრახი. ამის შემდეგ რუსეთი გამოვიდა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების რიგებში. აფასებდა რა პოლტავის ბრძოლის შედეგებს, ფ. ენგელსი სწერდა: „კარლოს XII-მ სცადა რუსეთის შიგნით შეჭრა; ამით მან დაღუპა შვეცია და ყველას უჩვენა რუსეთის უძლეველობა".

შეკითხვები თემთა პალატაში

ლონდონი, 5 ივლისი (საკდესი). დღეს თემთა პალატის სხდომაზე კონსერვატორი ვივიან ადამსი შეეკითხა ჩემბერლენს — ჰფიქრობს თუ არა მთავრობა მიიღოს რაიმე კონკრეტული ზომები დანციგში იარაღისა და ხალხის უკანონოდ გაგზავნასთან დაკავშირებით. კერძოდ, აქვს თუ არა განზრახვა მთავრობას გავლენა მოახდინოს გერმანიაზე თავისი ფლოტის მობილიზაციით. ჩემბერლენმა უპასუხა, რომ „ინგლისის მთავრობა არ დააყოვნებს გადასდგას ნაბიჯები, რომლებსაც იგი საჭიროდ ან სასურველად დაინახავს იმისათვის, რათა აბსოლუტურად ნათელი გახადოს ინგლისის მთავრობის პოზიცია. ეს უკვე ნათლად იყო ნათქვამი ინგლისის მინისტრთა ამასწინანდელ გამოსვლებში".

უპასუხა რა ლეიბორისტ კოქსის მიერ დანციგის მდგომარეობის შესახებ მიცემულ შეკითხვაზე, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ბეტლერმა განაცხადა, რომ სამხედრო მზადება, რაც, არსებული ცნობების თანახმად, ამჟამად დანციგში ტარდება, წარმოადგენს დანციგის სტატუტის მე-5 მუხლის დარღვევას. როგორც ჩემბერლენმა უკვე 1 ივლისს აღნიშნა, ინგლისის მთავრობას მჭიდრო კონტაქტი აქვს პოლონეთისა და საფრანგეთის მთავრობებთან ყველა იმ საკითხის გამო, რომლებიც დაკავშირებულია დანციგში შექმნილ მდგომარეობასთან. დანციგის უკანასკნელი ამბების შესახებ ბეტლერმა სთქვა, რომ მას არაფერი არ შეუძლია დასძინოს იმას, რაც ჩემბერლენის მიერ 3 ივლისს იყო ნათქვამი. კოქსის დამატებით შეკითხვაზე — ჰფიქრობს თუ არა ინგლისის მთავრობა მიმართოს დემარშს, ბეტლერმა უპასუხა: „ამჟამად ჩვენ თათბირი გვაქვს პოლონეთისა და საფრანგეთის მთავრობებთან დანციგის ამბებთან დაკავშირებულ ყველა საკითხზე და ახლა არ შემიძლია რაიმე უფრო დაწვრილებითი ცნობების მოცემა".

შემდეგ ლეიბორისტი კოქსი კვლავ შეეკითხა: შეიძლება თუ არა ვიფიქროთ, რომ ინგლისის მთავრობის განცხადება, რომ იგი მზად არის დაუყოვნებლივ და მთელი ძალებით შეასრულოს თავისი ვალდებულებანი შემდგომი აგრესიისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში—შეეხება იმ შემთხვევასაც, როდესაც ადგილი ექნება ცდას ძალით შესცვალონ დანციგის სტატუტი. ბეტლერმა უპასუხა, რომ მისი სურვილია კოქსი გაეცნოს ინგლისის მიერ პოლონეთის მიმართ ნაკისრევ იმ ვალდებულებათა შინაარსს, რომლებიც უეჭველად იქნება შესრულებული. უპასუხა რა კოქსის დამატებით შეკითხვაზე, ბეტლერმა მოაგონა: „პოლონეთისათვის მიცემული გარანტიები ჰგულისხმობს ისეთ შემთხვევებს, როდესაც პოლონეთის დამოუკიდებლობას აშკარა საფრთხე დაემუქრება".

გერმანიის პრესა ინგლისის წინააღმდეგ ილაშქრებს

ბერლინი, 5 ივლისი (საკდესი). გერმანიის ყველა გაზეთი დღეს მკაცრად ილაშქრებს ინგლისისა და მისი სახელმწიფო მოღვაწეების წინააღმდეგ. ამ გამოსვლის საბაბი იყო ჩემბერლენის განცხადება დანციგში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გაზეთები ცდილობენ უარჰყონ ფაქტები გერმანიის მზადებისა დანციგის ხელში ჩასაგდებად და ისე მოაჩვენონ საქმე თითქოს დანციგში სრული სიწყნარე იყოს.

დანციგელი ფაშისტების ორგანო „დანციგერ ფორპოსტენი" განსაკუთრებული სიმკაცრით გამოდის ჩემბერლენის წინააღმდეგ და ბრალსა სდებს იმაში, რომ დანციგში შექმნილი მდგომარეობის შეფასებისას ჩემბერლენი „პოლონური წყაროებით სარგებლობს".

ცდილობს რა უარჰყოს მთელი უცხოელი პრესის ერთსულოვანი მტკიცება დანციგელი ფაშისტების სამხედრო ღონისძიებათა შესახებ, გაზეთი „დანციგერ ფორპოსტენი" აღიარებს: „დანციგს არ ესაჭიროება შეიარაღება იმიტომ, რომ სერიოზული შემთხვევისათვის გერმანიის გარნიზონები სულ ახლოს იმყოფებიან".

რუზველტი წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილების შესახებ

ნიუ-იორკი, 5 ივლისი (საკდესი). 4 ივლისს ჰაიდ-პარკში (პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენცია) პრესის წარმომადგენელთა მიღების დროს რუზველტმა უკმაყოფილება გამოსთქვა იმის გამო, რომ წარმომადგენელთა პალატამ გადასწყვიტა თავი შეიკავოს ნეიტრალიტეტის კანონის გადასინჯვისაგან, კერძოდ, ყველა მეომარ ქვეყანაში იარაღის შეტანის ემბარგოს (აკრძალვის) გაუქმებისაგან. რუზველტმა განაცხადა, რომ მისი სურვილია კონგრესის ახლანდელმა სესიამ (ჰფიქრობენ, რომ იგი 15 ივლისს დაიხურება) გადასინჯოს ნეიტრალიტეტის კანონი, ვინაიდან ეს ხელს შეუწყობდა ომის თავიდან აცილებას. მან მოიწონა სახელმწიფო მდივნის ჰელის მოთხოვნა, რათა გაუქმდეს არსებული კანონი, რომელიც ჰკრძალავს ამერიკის შეერთებული შტატებიდან მეომარ ქვეყნებში იარაღის გატანას. შემდეგ რუზველტმა განაცხადა, რომ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ მიღებული ინფორმაცია, ადასტურებს პრესის ცნობებს, რომ ფაშისტურ ქვეყნებში წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილებას კმაყოფილებით შეხვდნენ. რუზველტის აზრით, ეს გადაწყვეტილება არახელსაყრელ გავლენას მოახდენს იმ კრიზისზე, რომელსაც ევროპა განიცდის, და კიდევ უფრო გააძლიერებს ომის საფრთხეს. წარმომადგენელთა პალატის გადაწყვეტილება გერმანიასა და იტალიას მიაჩნიათ ევროპის დემოკრატიული სახელმწიფოების დამარცხებად. რუზველტმა გამოსთქვა სურვილი, რომ კონგრესმა გამოასწოროს ეს შეცდომა ჯერ კიდევ მანამ, ვიდრე იგი საარდადეგებოდ იქნებოდეს დათხოვნილი.

იტალიელთა გაგზავნა იაპონიის დასახმარებლად ჩინეთში

ლონდონი, 5 ივლისი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს რომაელი კორესპონდენტი, ემყარება რა ავტორიტეტულ წყაროებიდან მიღებულ ცნობებს, იუწყება, რომ იტალიის ზოგიერთ ლეგიონერს, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ესპანეთში იტალიის ინტერვენციაში, ამჟამად იაპონელები აგროვებენ ჩინეთის წინააღმდეგ ომისათვის. ლეგიონერთა მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე გაემგზავრა ნეაპოლიდან.

დანციგის ამბები

ვარშავა, 6 ივლისი (საკდესი). ეხება რა დანციგში შექმნილ მდგომარეობას, გაზეთი „კურიერ პოლსკი" იუწყება, რომ პოლონეთის გენერალური კომისარი დანციგში ხოდაცკი გამოვა დანციგის სენატში და მოითხოვს თავისუფალი ქალაქის დემილიტარიზაციას. პოლონეთის მთავრობას განზრახვა აქვს მოსთხოვოს დანციგის ხელისუფალთ დაშალონ „მოხალისეთა" კორპუსი, შესწყვიტონ „ხაიმვერის" შედგენა, უკანვე გააბრუნონ გერმანიაში მთელი სამხედრო იარაღი და მასალები, აკრძალონ თავისუფალი ქალაქის ტერიტორიაზე ყოველგვარი საფორტიფიკაციო სამუშაოები და ბარაკების აგება.

ლონდონი, 6 ივლისი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო დანციგიდან იუწყება, პოლონეთის ბატარიამ გამაფრთხილებელი ნიშანი მისცა სროლით გერმანიის მძიმე ყუმბარმტყორცნს იმ დროს, როდესაც იგი 4 ივლისს დაფრინავდა პოლონეთის სოფელ ორლოვოს თავზე დანციგსა და გდინიას შუა. ცოტა უფრო გვიან თვითმფრინავი დანციგისაკენ გაფრინდა. შემდეგ სააგენტო იუწყება, რომ დანციგის მახლობლად საიდუმლო საფორტიფიკაციო სამუშაოებზე გერმანიის ხელისუფლების წარმომადგენლებმა დააპატიმრეს რამდენიმე მუშა იმისათვის, რომ, როგორც ისინი ამტკიცებენ, ეს მუშები „ლაპარაკობდნენ იმაზე, თუ რა ხასიათის სამუშაოს ასრულებენ ისინი".

ფაშისტთა აგენტის გასამართლება პარიზში

პარიზი, 6 ივლისი (საკდესი). გუშინ პარიზის გამასწორებელი ტრიბუნალის წინაშე წარსდგა ფრანგი პოლიციელი გვარად რაკოვსკი, რომელიც ფაშისტთა აგენტი აღმოჩნდა. მისი მოქმედება იტალიის სასარგებლოდ იყო მიმართული. იგი საფრანგეთის საპოლიციო დაწესებულებებში იპარავდა სხვადასხვა დოკუმენტებსა და იტალიის აგენტებს აძლევდა. სხვადასხვა დოკუმენტებს შორის იგი აგრეთვე იპარავდა საფრანგეთში მყოფ იტალიელ ემიგრანტთა სარეგისტრაციო ბარათებსაც. კერძოდ, მან მოიპარა ანტიფაშისტი ძმების როსელების სარეგისტრაციო ბარათები, ეს ძმები შემდეგ ოვრის (იტალიის საიდუმლო პოლიცია) აგენტებმა მოჰკლეს. ფაშისტთა ამ აგენტის საქმეზე გამოტანილი განაჩენის გამოცხადებას შემდეგ კვირაში მოელიან.

ჯოუ ენ-ლაის განცხადება

ჩუნცინი, 5 ივლისი (საკდესი). ჩინეთის სამხედრო საბჭოს პოლიტიკური განყოფილების უფროსის მოადგილემ ჯოუ ენ-ლაიმ იანანში გამგზავრების წინ განაცხადა: „ჩვენი განმათავისუფლებელი ომის ორმა წელმა დაგვანახვა, რომ იაპონელებმა ვერ შესძლეს განეხორციელებინათ თავისი გეგმები, რომელთა მიზანი იყო ხანმოკლე ომი და სწრაფი გამარჯვება. თანამედროვე მომენტს ახასიათებს ის, რომ ჩვენი ძალები იზრდება განმათავისუფლებელ ომთან ერთად. ამჟამად მტერი მთელ თავის ყურადღებას აქცევს ზურგის „გაწმენდას". მტერი ცდილობს მოაწყოს დაპყრობილი ტერიტორიების ეკონომიური ექსპლოატაცია და ხელსაყრელ მომენტს ელის სამარი მოქმედების განსაახლებლად და ახალი შეტევის დასაწყებად".

ილაპარაკა რა ბრძოლის პერსპექტივებზე, მან აღნიშნა: „ომის პირველ პერიოდში ჩვენ შევქმენით საძირკველი ჩვენი საბოლოო გამარჯვებისათვის. ომის მეორე პერიოდში ჩვენი პოლიტიკა ძირითადად ისეთივე რჩება — ომი საბოლოო გამარჯვებამდე. ჩვენ გადაჭრით უნდა აღვკვეთოთ კაპიტულაციის ყოველგვარი ცდა და უზრუნველვყოთ ყველაფერი, რაც კი საჭიროა ომისა და საყოველთაო მობილიზაციისათვის.

ჩვენ უნდა განვამტკიცოთ ერთიანი ნაციონალური ფრონტი და შედგრად გამოვიდეთ ერთიანი ნაციონალური ფრონტის ჩაშლისაკენ მიმართული ყოველგვარი პროვოკაციისა და ცდის წინააღმდეგ. თუ გავყვებით ამ გზას, რომ მტრის ზურგი ჩვენს ფრონტად გადავაქციოთ და მცირე გამარჯვებებიდან დიდ გამარჯვებებზე გადავიდეთ, ჩვენ შევძლებთ ყოველგვარი სიძნელის გადალახვას ჩვენს გზაზე".

მოკლე ცნობები

(საკდესის მასალების მიხედვით)

⊙ პოლონეთში გაიქცა ხუთი გერმანელი ჯარისკაცი იმ ნაწილიდან, რომელიც სლოვაკიაში დგას. გაქცევის მიზეზია ცუდი კვება და მკაცრი მოპყრობა.

⊙ ესპანეთის მრეწველობა და მთელი ეკონომიკა კატასტროფულ მდგომარეობაშია. სურსათის მწვავე ნაკლებობის გამო სანოვაგეს ბარათებით იძლევიან.

⊙ 5 ივლისს ჩეხმა ხალხმა აღნიშნა ნაციონალურ გმირის იან ჰუსის კოცონზე დაწვის წლისთავი. მთელი პრაღა მორთული იყო ჩეხის ნაციონალური დროშებით.

⊙ ჩინეთში წარმოებული ომის ორი წლის მანძილზე იაპონიის დაახლოებითი გამოანგარიშებით დაუჭრეს და მოუკლეს 1 მილიონი კაცი.

უხეში ფაშისტური ნაყალბევი

ნიუ-იორკი, 6 ივლისი (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება ბუენოს აირესიდან (არგენტინის დედაქალაქი), გერმანელ ფაშისტებთან დაკავშირებულმა გაზეთმა „ტრომლერმა" გამოაქვეყნა ყალბი წერილი, რომელსაც ვითომდა ხელს აწერს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ფრანკლინ რუზველტი. წერილს აწერია ვაშინგტონი და იგი დათარიღებულია 15 მაისით. ამ ნაყალბევში ნათქვამია, თითქოს რუზველტმა „დიდი კმაყოფილების" გრძნობა გამოსთქვა იმის გამო, რომ ამერიკაში ფაშისტთა ძირგამომთხრელი მუშაობის საქმის გამოძიების შედეგად, რაც ამასწინათ მოხდა, ვითომდა არ არის აღმოჩენილი ისეთი ფაქტები, რომლებიც მოწმობდნენ, რომ არსებობს გერმანიის გეგმები არგენტინაში ჯაშუშური და დამპყრობითი საქმიანობის შესახებ.

ფაშისტური პრესის ანტიპოლონური გამოსვლები

ბერლინი, 6 ივლისი (საკდესი). უკანასკნელ დროს გერმანიის პრესა ფართოდ იყენებს ანტიპოლონური კამპანიისათვის, რომელსაც იგი ეწევა, იტალიის პრესის მიერ გამოთქმულ აზრს. იტალიის პრესა მუქარის ტონით მოითხოვს პოლონეთისაგან, რომ მან დაუთმოს გერმანიას დანციგისა და დანციგის კორიდორის საკითხში. მაგალითად, ესენის „ნაციონალ ცაიტუნგმა" გადმობეჭდა იმ იტალიური გაზეთის განცხადება, რომელიც ჩეხოსლოვაკიის ბედით ემუქრება პოლონეთს, და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დანციგის საკითხი ისე იქნება გადაჭრილი, როგორც ამას გერმანია მოითხოვს. „ვადა,—სწერს იტალიური გაზეთი,—თუ როდის მოხდება ეს, მხოლოდ და მხოლოდ ღერძის სახელმწიფოებზეა დამოკიდებული".

დანციგელ ფაშისტთა ორგანო „დანციგერ ფორპოსტენი" აგრეთვე ჰბეჭდავს იტალიური გაზეთის ცნობას, რომელშიაც აღნიშნულია: „თავისთავად ცხადია, რომ დანციგი გერმანიას დაუბრუნდება".

კულტლაშქრობა ხევსურეთში

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

არხოტის მთა, რომელიც ხევსურეთს შუაზე ჰყოფს, კავკასიონის ერთერთი განშტოებაა და ამასთან გადასალახავად უძნელესი. დიდი სიფრთხილე მართებს კაცს, რომელიც მასზე გადასვლას მოიწადინებს. წონასწორობის ოდნავ დარღვევა, ოდნავი წაფორხილება საკმარისია, რომ უფსკრულში გადაიჩეხო და მორჩა.. ამიტომ არხოტის უღელტეხილს დიდი სიფრთხილით შევუდექით.

სოფელ როშკიდან გამგზავრების წინა საღამოს ამ ძნელი მთის გადალახვის სამზადისში გვიარა.

ისედაც რთული მგზავრობა სქელმა ნისლმა უფრო მეტად სახიფათო გახადა. ხევების პირზე დაკიდებული კლაკნილი საცალფეხო ბილიკები, რომლებითაც ჩვენ გვიხდება სიარული, მთის რამდენიმე წვერზე გადადის. ერთ რიგად დაწყობილნი ფრთხილად მივემართებით უფსკრულ ხევების პირზე აღვენებული ბილიკებით, ბურუსსა და ნისლში გახვეულნი. ხშირად გაისმის გამაფრთხილებელი ხმები „ხევია, ფრთხილად!".

ერთ ადგილზე კლდის ზვავი ჩამოწოლილიყო. მის ფხვიერ მასაზე გავლისას ცხენი დაგვიგორდა, და მხოლოდ გამოცდილი ხევსურებისა და მოლაშქრეების გამბედაობამ გადაარჩინა სიკვდილს ერთგული ცხოველი.

არხოტის წვერზე ბურუსს ძლიერი ქარი დაერთო, მთის კალთები ღრმა, ფხვიერი თოვლით იყო დაფარული, დიდი სიფრთხილით მივდიოდით ამ ადგილებში, მაგრამ მარცხი მაინც არ აგვცდა. საქართველოს კინოსტუდიის რეჟისორის ვ. ალავიძის ცხენი დაცურდა და თან გაიყოლა გვერდზე მდგომი მხედარი. თოვლის ველი ღრმა ხევის პირთან მთავრდებოდა, კატასტროფა თითქოს აუცილებელი იყო, მაგრამ ამ სიძნელეებთან შეზრდილი ხევსურული ცხენი 50 მეტრის მანძილზე გაბედულად ებრძოდა ხიფათს და მიმართულებას პატარა გორაკისაკენ იცვლიდა, მას დაცურებული მგზავრიც ეშველებოდა და ამგვარად გონიერი პირუტყვი დაღუპვას გადარჩა.

სამი საათის შემდეგ გავცდით თოვლის ველებს, ამის შემდეგ ხშირად გვხვდებოდა ხევის პატარა მდინარეები და ჩანჩქერები.

მზის ჩასვლისას ჩავედით სოფელ ახიელაში.

O

სოფელი ახიელა არხოტის ხეობაში მდებარეობს. აქ 20 კომლი ცხოვრობს, შენობები ნათელი კლდის ქვისაგან არის ნაგები. სოფლის თავზე ძველებური ციხეა აღმართული, იქ ხევსურები ქისტების შემოსევისაგან იცავდნენ თავს.

სოფლის წინ, მთის კალთებზე რიყის ქვით არის შემოღობილი ხატის მიწები, შუაში რამდენიმე პატარა ქვის ნაგებობაა, მათ შორის ერთი ჯიხვის რქებით არის შემკობილი. აქ მოთავსებულია ეგრეთწოდებული „მთავარანგელოზის ხატი".

ხატს უკვე აღარ აქვს ის „ძალა" და „ავტორიტეტი". წინათ რომ ჰქონდა. სოფლის ახალგაზრდობა მას და მის მიდამოებს ინახავენ, როგორც ისტორიულ ნაშთს. ამ შენობის გვერდით აგებულია მეორე შენობა, რომელსაც ხევსურები „სადიასახლისოს" ანუ „საქვაბეს" უწოდებენ. აქ თავმოყრილია ძველად შეწირული სპილენძის დიდი საარყე ქვაბი, ლუდისა და არყის გამოსახდელი სხვადასხვა ხელსაწყოები, ხონჩები, ჯამები, ქვაბები, დიდი კიდობანი, სადაც შემოწირული ჭირნახული ინახებოდა. ამ ჭირნახულიდან აკეთებდნენ ლუდს, ხდიდნენ არაყს, აცხობდნენ პურს, ქადას, ხაჭაპურს. ხატის დღეობაზე დიდი ქეიფი და ღრეობა იმართებოდა, იკვლოდა საქონელი, ჩანაგდებოდა წელებზე ფეხის დგმით მოწეული ჭირნახული, ნადგურდებოდა ისედაც გაძვალტყავებული ხევსური. ღრეობას აუცილებლად ჩხუბი მოსდევდა, ჩხუბი ხშირად სიკვდილით ბოლოვდებოდა, ხოლო ამას სამუდამო მტრობა სდევდა, გვარები და ტომები ერთმანეთს სამტრო-სასიცოცხლოდ ეკიდებოდნენ, იყო ერთმანეთის დევნა სისხლის საძიებლად. და ყველაფერი ამის მიზეზი ცრუმორწმუნეობა, გონების ბურუსი—რელიგია იყო.

ახიელაში [illegible] მასპინძლდნენ მშვენიერი ლუდით. [illegible] მოგვესვენეს.

მეორე დღეს მოვაწყეთ საექიმო პუნქტი. ექიმმა გ. ალავიძემ 70-მდე ავადმყოფი მიიღო.

შუადღისას ვესაუბრეთ გლეხებს სხვადასხვა საკითხებზე. დავარიგეთ წიგნები, რვეულები, ფანქრები, სოფლის სკოლას გადავეცით სასწავლო ნივთები, ჟურნალ-გაზეთები.

კრებაც ჩავატარეთ.

საინტერესო ამბები გვიამბო გარსია ოჩიაურმა, რომელმაც მოიგონა სამოქალაქო ომის პერიოდში სერგო ორჯონიკიძის ინგუშეთიდან გადმოსვლა სოფ. შიმღასა და ახიელაში, სადაც ის ერთხანს დარჩა თავის თანმხლებლებით.

— ყველაფერი ის, რასაც ჩვენი სერგო გვეუბნებოდა სთქვა გარსიამ, — სულ აასრულეს ბოლშევიკებმა. მათი ზრუნვით ახიელაშიც კი, რომელსაც ბარისახოსთან კავშირი წელიწადში მხოლოდ სამ თვეს აქვს, მოისპო წერა-კითხვის უცოდინარობა, გაიხსნა სკოლა, საექიმო პუნქტი. ყველას გაგვეხსნა გზა ბედნიერებისაკენ და ამ ბედნიერების დასაცავად ხევსური ხალხი სიამოვნებით გაუშვებს თავის საუკეთესო შვილებს წითელ არმიაში.

ხალხთა სტალინური მეგობრობის ეპოქაში ხევსურებმა დაჰგმეს ადამიანის შეუფერებელი, ველური ჩვევა — სისხლის აღება, ისინი აღარ ედავებიან მოძმე ქისტებს და გულით სურთ მათთან კეთილმეზობლურად და ძმურად ცხოვრება, ისე როგორც ეს სტალინის მზით გამთბარი დიადი სოციალისტური სამშობლოს მცხოვრებ მოძმე ერებსა და ტომებს შეეფერება.

საუბრის დასასრულს ახალგაზრდა ხევსურმა ქალებმა გარმონი გამოიტანეს და დიდი ლხინი გამართეს, მღეროდნენ, ცეკვავდნენ. ხევსურული სიმღერა და მუსიკა დაბინდებამდე არ შეწყვეტილა.

სოფ. ახიელა. **თ. ფურცელაძე.**

ა.-კ. რკინიგზის ტექნიკუმის საიუბილეო საღამო

5 ივლისს, მოზარდმაყურებელთა რუსული თეატრის შენობაში შესდგა საზეიმო საღამო, მიძღვნილი ა.-კ. რკინიგზის ლ. პ. ბერიას სახელობის თბილისის ტექნიკუმის 20 წლისთავისადმი. საღამოს დაესწრნენ ა.-კ. რკინიგზის მუშაკები, ტექნიკუმის მოსწავლეთა მშობლები და სტუმრები.

საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ა.-კ. რკინიგზის კადრების განყოფილების გამგემ ამხ. ბალანჩივაძემ. მოხსენებით „ტექნიკუმის არსებობის 20 წლისთავის შესახებ" გამოვიდა ტექნიკუმის დირექტორი ამხ. დ. მშვენიერაძე. მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ტექნიკუმის მასწავლებლებმა პ. ხიმინმა, შ. ქავთიაშვილმა და ფრიადოსან მოსწავლეებმა ბ. ქერივიშვილმა და ლ. ოგანეზოვმა.

საღამოზე დაჯილდოებულ იქნა 15 ფრიადოსანი მოსწავლე. მისასალმებელი დეპეშა გაეგზავნა ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩს და ლ. პ. ბერიას.

დასასრულ გაიმართა დიდი კონცერტი, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოპერის, მარჯანიშვილის თეატრისა და საქ. ესტრადის საუკეთესო ძალებმა.

თელავის ახალი სასტუმრო

კახეთის უძველესი ქალაქი თელავი, დაამშვენა თანამედროვე არქიტექტურული გამოვნებით ნაგებმა ახალმა მრავალსართულიანმა შენობამ.

ეს შენობა თელავის ახალი სასტუმროა. ოთხსართულიან სასტუმროში სანიმუშო სისუფთავე და წესრიგია. ახალ სასტუმროში ყველა პირობაა იმისათვის, რომ მგზავრმა კულტურულად დაისვენოს.

სურათზე: თელავის ახალი სასტუმროს შენობა.

ფოტო— ვ. გინზბურგისა.

შეხვედრა ტ. შევჩენკოს თეატრის მუშაკებთან

დღეს, ღამის 11 ს. 30 წ. ხელოვნების ოსტატთა კლუბში ეწყობა თბილისის ხელოვნების მუშაკების შეხვედრა ხარკოვის ტ. შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მუშაკებთან.

შესავალი სიტყვით გამოვა ხელოვნების მუშაკთა საქ. რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ვ. გვინჩიძე, თეატრალური მუზეუმის დირექტორი ამხ. გ. ბუხნიკაშვილი წაიკითხავს მოხსენებას თემაზე: „უკრაინული თეატრის გასტროლები საქართველოში წინათ". უკრაინის თეატრის სამხატვრო ნაწილის ხელმძღვანელი მ. მ. კრუშელნიცკი გამოვა მოხსენებით შევჩენკოს სახელობის თეატრის შემოქმედებითი გზის შესახებ.

გაიმართება დიდი საღამო-კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ საქ. ოპერის და მარჯანიშვილის თეატრის მსახიობები, მომღერალთა ანსამბლი ცაგარეიშვილის ხელმძღვანელობით, მეფანდურეთა ორდენოსან ვარდიაშვილის ხელმძღვანელობით და უკრაინის თეატრთან არსებული ბანდურისტების ანსამბლი.

გასწორება

„კომუნისტის" 6 ივლისის ნომრის პირველ გვერდზე მოთავსებული ცნობის „იაპონელი პროვოკატორები არ ისვენებენ" მესამე აბზაცის უკანასკნელი წინადადება ასე უნდა იკითხებოდეს: „მონღოლეთ-საბჭოთა ავიაციამ 9 თვითმფრინავი დაჰკარგა".

ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლი

8 ივლისს ლ. კეცხოველის სახელობის პარტპროპაგანდის სახლში—ამხ. ჟორჟიკაშვილის ლექცია თემაზე: საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. ქალაქის პროპაგანდისტებისათვის. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

26 კომისრის სახელობის რაიკომის პარტკაბინეტში—ამხ. სუმაროკოვის ლექცია თემაზე: იმპერია პეტრე დიდის დროს. რუსულ ენაზე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი

სეზონის დახურვა

8 ივლისს	9 ივლისს პრემიერა	10 ივლისს
ზ. ფალიაშვილი **დაისი**	ლ. რიშკო **ჩაუმწიფებ კოტიომკინი** დირიჟ. შ. აზმაიფარაშვილი დადგმა გ. ჟურულისა მხატვარი პროფ. ი. შარლემანი	ლ. რიშკო **ჩაუმწიფებ კოტიომკინი** დირიჟ. შ. აზმაიფარაშვილი დადგმა გ. ჟურულისა მხატვარი პროფ. ი. შარლემანი.

დასაწყისი საღამოს 8 ს. 30 წ.

საქ. სახესტრადის საზაფხულო თეატრი და ბაღი
პლეხანოვის პროსპ. № 123, ტელ. № 3-18-50

საზაფხულო თეატრი
8, 9, 10 11, 12, 13 ივლისს
უღმ. ადგ. ტალ №№ 41, 42, 43, 44, 45, 46
საესტრადო წარმოდგენა
მოსკოვის საკონცერტო გაერთიანების მსახიობთა შემადგენლობით **დარსკი და მიროვი** (კონფერ. და ინტერმედიები) დაწვრილებით აფიშებში.
დასაწყისი საღ. 9 ს. 30 წ.
სალარო ღიაა დილის 11 საათიდან დღის 3 საათამდე, საღ. 6 საათიდან 11 საათამდე.

ღია ესტრადა
8, 9, 10, 11, 12, 13 ივლისს
ესტრადის საღამოები
დასაწყისი საღამოს 10 საათზე.
ღია ესტრადაზე შესვლა ბაღის შესასვლელი ბილეთებით.
ბაღში სასულე ორკესტრი ხანაგოვის ხელმძღვანელობით.

განათლების სახალხო კომისარიატი აცხადებს.

რომ განსახკომის სისტემაში მყოფი უმაღლესი სასწავლებლების 1934, 1935 და 1936 წლის ის კურსდამთავრებულნი, რომლებსაც სახელმწიფო გამოცდები არ ჩაუბარებიათ, დაშვებული იქნებიან სახელმწიფო გამოცდებზე 1939 წლის ოქტომბერში და 1940 წლის ივნისში.

სახელმწიფო გამოცდების ჩაბარება მოხდება ყველა იმ საგანში, რომელიც გამოტანილი იყო სახელმწიფო გამოცდაზე კურსდამთავრებულთათვის უმაღლესი სკოლის დამთავრების პერიოდში. დამატებით სავალდებულოა „მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების" ჩაბარება.

საგნების ჩაბარება მოხდება ამჟამად მოქმედი პროგრამებით.

შენიშვნა: ის კურსდამთავრებულნი, რომლებიც აღნიშნულ ვადებში არ ჩააბარებენ სახელმწიფო გამოცდებს (საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით), ჰკარგავენ სახელმწიფო გამოცდაზე დაშვების უფლებებს და ვერ მიიღებენ უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომს.

100 **განსახკომი.**

დღეს და ყოველდღე კინოთეატრებში

რუსთაველის სახ. სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	ფერადი ხმოვ. ფილმი **სოროჩინის ბაზრობა** ხაბანერა (ფერადი)
ოქტომბერი სეანს. დასაწყ. 6-30, 9-30, 11-00	თავდაცვითი ხმ. ფილმი **ზურგი და ფრონტი** გამარჯვების მარშრუტი საბჭ. საქ. № 21
დამკვრელი (ზამთრ.) სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	ხმოვ. მხატვრ. კომედია **ტრაქტორისტები** სკჟ 52
დამკვრელი (საზაფხულო) 9-00, 11-00	მხატვრ. ხმ. კომედია **ტრაქტორისტები** სკჟ 52 საარტილერიო
კომკავშირელი (ზამთრ.) სეანს. დასაწყ. 6-15, 8-00, 10-00	**შემთხვევა პატარა სადგურზე** საბჭ. საქ. № 21
კომკავშირელი (საზაფხ.) სეანს. დასაწყ. 9, 11-00	**შემთხვევა პატარა სადგურზე**
რ. ლუქსემბურგის სახ. სეანს. დასაწყ. 6-30, 8, 9-30, 11-00	**ცხარე დღეები** სკჟ 54
სპარტაკი სეანს. დასაწყ. 6-30, 8-30, 10-30	მხატვრ. ხმოვანი ფილმი **დიდი ქალაქის ჩირაღდნები** გმირთა ხსოვნას
26 კომის. სახ. (საზაფხ.) სეანს. დასაწყ. 9-00, 11-00	ხმოვ. თავდაცვ. ფილმი **ესკადრილია № 5** სკჟ 47
კომინტერნი სეანს. დასაწყ. 6. 8, 10	ხმოვ. მხატვრ. ფილმი **მიტკა ლელიუკი** ჩინეთი ბრძოლაში
ს. ორჯონიკიძის სახ. კდცპ 9, 10-30	მხატ. ხმოვ. ფილმები **დათვი, ნილაბი, ლლაზუტა** ბებიას რეცეპტი

იმ პირებს, რომლებიც სეანსების დასაწყისისათვის დაიგვიანებენ, დარბაზში აღარ შეუშვებენ.

სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი

1939-40 სასწ. წლის მიღების პირობები

მომავალი სასწავლო წლისათვის გაიხსნება მხოლოდ სამსახიობო ფაკულტეტი, მისაღებ გამოცდებზე დაშვებული იქნებიან ორივე სქესის მოქალაქენი 17-დან 25 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო განათლება (ათწლედი, ტექნიკუმი, მოზრდილთა საშ. სკოლა) ან ვინც ექსტერნად ჩააბარა საშუალო სკოლის კურსი).

შემომსვლელი ვალდებულია შემოიტანოს ინსტიტუტის დირექტორის სახელზე განცხადება და შემდეგი საბუთები: 1. დაწვრილებითი ავტობიოგრაფია, 2. ატესტატი (დედანი საშ. სკოლის დამთავრების შესახებ). 3. პასპორტი (უნდა წარმოადგინოს პირადად), 4. სამი უქუდოდ გადაღებული ფოტოგრაფიული სურათი, ზომით 3×4 ს. მ.

შენიშვნა: თვითეულ სურათს უნდა ჰქონდეს განმცხადებლის საკუთარი ხელისმოწერა, რომელიმე სახელმწიფო დაწესებულების მიერ დამოწმებული.

5. ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ (სამხედრო ვალდებულებმა), 6. მეტრიკული ამონაწერი და 7. ჯანმრთელობის მოწმობა (დეფექტიანები გამოცდებზე დაშვებული არ იქნებიან).

განცხადების მიღება იწარმოებს ყოველდღე (გარდა დასვენების დღეებისა) 15 ივლისიდან 10 აგვისტომდე ინსტიტუტის შენობაში, რუსთაველის პროსპექტი № 21, მე-4 სართული, დილის 11 საათიდან დღის 2 საათამდე.

იქვე გაიცემა ყოველგვარი ცნობები იმავე საათებში. ინსტიტუტში შემოსვლის მსურველმა უნდა იცოდეს ზეპირად: ა) პროზის ნაწყვეტი, ბ) იგავ-არაკი გ) ლექსი, დ) მონოლოგი ან ე) სცენა რომელიმე პიესიდან.

გარდა ამისა, შემომსვლელს გაესინჯება სმენა, რითმიულობა, მანვე უნდა შესძლოს ელემენტარული სასცენო ამოცანების შესრულება. ამ განხრით დამაკმაყოფილებელ მაჩვენებლების შემდეგ შემომსვლელი აბარებს საშუალო სკოლის პროგრამის ფარგლებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურას (წერილ. და ზეპ.), 2. რუსულ ენას (წერ. და ზეპირად), 3. სსრკ ხალხთა ისტორიას და სსრკ კონსტიტუციას, 4. მათემატიკას (ალგებრა, ტრიგონომეტრია, გეომეტრია), 5. ფიზიკას და 6. ქიმიას.

შენიშვნა: ფრიადოსნები საერთო განათლების საგნებში გამოცდისაგან თავისუფლდებიან.

სტიპენდიები საერთო საფუძვლის მიხედვით. მხოლოდ რაიონებიდან მიღებულთ პირადად საცხოვრებელი ადგილიც მიეცემათ.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 15 აგვისტოდან 25 აგვისტომდე დილის 10 საათიდან დღის 2 საათამდე.

მეცადინეობა 1-ლი სექტემბრიდან.

მიღებულთაგან ვინც ამ დღეს არ გამოცხადდება მექანიკურად გაირიცხება.

685 **დირექცია.**

1,5-ტონიან „გაზ აა" ავტომანქანას გადავცვლი მსუბუქ მანქანაზე
მისამართი: ღრმაღელე, მიმღები რადიოცენტრი. ტელეფ. 3-23-21
50

მეუღლე პელო, შვილი გრიშა, რძალი ვალია, შვილიშვილები შოთა, გივი, თენგიზ იუწყებიან საყვარელ **იპოლიტე რაჟდენის-ძე მერკვილაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VII, 6 ს. 1-ლი საავადმყოფოდან, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე. 2416

დამწუხრებული და კატო, დისწულები სილიბისტრო და მიხეილ გამცემლიძეები იუწყებიან ძვირფას **იპოლიტე რაჟდენის-ძე მერკვილაძის** გარდაცვალებას. 2418

მშობლები თეიმურაზ, მატრონე, ძმა შოთა ჩხარტიშვილები, სიძე საშა, და თამარ ლომიძეები იუწყებიან, რომ 9/VII, ს. ჯუნჯუთაში შესდგება **ანგელინა ჩხარტიშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი. 2419

დედა ივლიტა, ძმები ალიოშა, კოლია, დები თამარ, ოლია ოჯახებით, დეიდა მარუსია იუწყებიან საყვარელ **ვერა ნესტორის-ასულ ცომაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VII, 6 ს. ნორიოს აღმართი, 5. კუკიის სასაფლაოზე. 2420

სან-ჰიგიენური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური კომუნალური განყოფილების თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ პეპელა კაპანაძეს მისი მამის **ივანე კაპანაძის** გარდაცვალების გამო. 2421

უახლოესი მეგობრები ვახტანგ დოლიძე და ნინო ჩაჩანიძე იუწყებიან, რომ 9/VII, ს. ჯუნჯუთაში შესდგება **ანგელინა ჩხარტიშვილის** სამოქალაქო პანაშვიდი. 2423

ტრამვაის სამმართველოს თანამშრომლები გოგოძე, მშვიდობაძე, გოგლიჩიძე, ჯაფარიძე, ქაჯაია, გიორგობიანი, გვალია, დოლიძე, გოძიაშვილი, უკლება, სახელაშვილი, კორინთელი, ზენაიშვილი იუწყებიან თამარ კანდელაკის შვილის **გივის** გარდაცვალებას. 2424

მეუღლე ანასტასია, შვილები მინადორა, ფედოსი, ცოცო, ზებითო, გრიშა, კლიმენტი, შალვა, რძლები, სიძეები, შვილიშვილები იუწყებიან საყვარელ **პავლე ბერიკიას-ძე ხურციას** გარდაცვალებას. დაკრძალვა 9/VII, ს. უშაფათში (ცხაკაია). 2425

სიძეები მიხეილ ნაცვლიშვილი, ვალიკო ფარკოსაძე ნათესავებით იუწყებიან ძვირფას **ვერიკო ცომაიას** გარდაცვალებას. გამოსვენება 8/VII, 6 ს. ნორიოს აღმართი, 5. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 2434

„თბილხილბოსტანვაჭრობის" № 1 სპეცმაღაზიის თანამშრომლები იზიარებენ ამავე მაღაზიის დირექტორის გრიშა ხურციას მწუხარებას მისი მამის **პავლე ბერიკიას-ძე ხურციას** გარდაცვალების გამო. 2426

დამწუხრებული მეუღლე აგრაფინა, შვილები ლადიკო, ვალერიან, მიშა, ძმები კირილე, სიმონ კილაძეები, და ნინო, რძლები ივლიტა, დომნა იუწყებიან ძვირფას **ყარამან ალექსის-ძე კილაძის** გარდაცვალებას. 2428

დამწუხრებული მშობლები მატრონა, ბართლომე, შვილი მეგი, ძმა გიორგი, დები გუგული, ნადია იუწყებიან **პანტელეიმონ ბართლომეს-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა საჯავახოში, 9/VII. 2429

მე-15 საფოსტო განყოფილების თანამშრომლები თამარ კოკაია, ნინო ლაპიაშვილი, ვერა ცქიტიშვილი, ლაზარე ხიზანაშვილი, რაჭველიშვილი, აგაშენაშვილი, ახმედოვი, ყიფიანი იუწყებიან **ვერიკო ცომაიას** გარდაცვალებას. 2430

მეუღლე ევდუკი, და მართა, შვილები თამარ, ვალენტინა, რძალი ეკვალიანი, სიძეები მ. შავდია, ბ. ზერიძე იუწყებიან ძვირფას **ანდრო მოსეს-ძე რამიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 8/VII, 8 ს. გამოსვენება 9/VII, 6 ს. ძერჟინსკის, 10. კუკიის სასაფლაოზე. 2431

მშობლები მარო, ვასო, ბებია ლალო, ძმები გივი, კარლო, დები ეთერ, კლარა, მამიდები ნატაშა, ზინა შვილებით იუწყებიან სახუნტის გეოგრაფიულ-გეოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტის **ავთანდილ კობახიძის** გარდაცვალებას. 2417

დამწუხრებული ძმა ბესარიონ გაბისონია მეუღლით შურათი, შვილებით ნათელათი და რეზოთი იუწყება **პარმენ ექვთიმეს-ძე გოგავას** გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ფოთში 9/VII. გამოსვენება პროფინტერნის, 4. 2422

რედაქციისა და გამომცემლობის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28 ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3—08—67, პ.-მგ. მდივნის მოადგილისა 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, პროპაგანდის და პრესის მიმოხილვის—3—81—84, სასოფლო - სამეურნეოს—3—73—40, საბჭოთა მშენებლობის და განათლება-ჯანმრთელობის—3—80—83, მრეწველობისა და ინფორმაციის—3—80—84, წერილების—3—73—24, 3—80—81, პ.-მგ. მორიგის—3—81—65, გამომცემლობის—3—51—81, სტამბის დირექტორის—3—77—70. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ამხ. ს. თოდრიას სახელობის სტამბა „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

მთავლიტის რწმუნებული 270